

ნინო ჟვანია პოლიფონია

მონოდრამა
მსახიობი ქალისა და უხილავი ქოროსთვის

მონოდრამის ინსპირაციის წყაროა ხუთი ხელოვანის ნაწარმოებები, კერძოდ - სეი სიონაგონის „მარტოობის ჟამს ჩანაწერები“ („სასთუმლის წიგნი“), ჟან კოქტოს „ადამიანის ხმა“, კარლჰაინც შტოკჰაუზენის „უხილავი გუნდები“, ჯონ კეიჯის „წყლის გასეირნება“ და და ეკა ჭაბაშვილის „პოლიფონიური ლექსები“. ამ ნაწარმოებებში განხორციელებულმა შემოქმედებითმა იდეებმა პიესაში განიცადა (შესაძლოა მხოლოდ ავტორისთვის ცხადი) ტრანსფორმაციები.

სცენაზეა წარმოდგენილია „სტუდიოს“ ტიპის ერთოთახიანი ბინა (მეტ-ნაკლებად) თანამედროვე დიზაინით. სცენის სიღრმეში (სასურველია - შუაში) დგას ეკრანი, რომელზეც ხდება მოქმედი გმირის (35-40 წლის ქალის) მობილური ტელეფონის ეკრანის პროექცირება. მობილური ტელეფონი მთავარი გმირის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. ის მას თითქმის ყოველთვის ხელში უჭირავს. ვინაიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ მთელი მონოლოგი გაზიარებული პოსტებია, სასურველია მონოლოგების წაკითხვისას იყოს ამ ფაქტზე ირიბი (და არა პირდაპირი) მინიშნება - ყველა მონოლოგის დასაწყისში იყოს რაიმე სახის კონტაქტი ტელეფონთან. გმირი ხან შედის Gallery/Photos-ში და ათვალერებს ფოტოებს, ხან პასუხობს ზარებს და მესიჯებს, ხან googl-ავს, ბოლოს კი პოსტსაც აზიარებს Facebook-ზე. სხვა დროს ტელეფონის ეკრანი ჩაბნელებულია. მონოლოგების კითხვისას ქალი მთლიანად „ითვისებს“ ოთახს. ის მოძრაობს სცენაზე: ხან ბოლთას სცემს, ხან ჯდება საწოლზე, სავარძელსა თუ სკამებზე, ხან ჩაიდნით წყალს ადუღებს და ყავას ისხამს, ხან ღვინო გამოაქვს და ისხამს, ხან სიგარეტს ეწევა (მაგრამ არა ხშირად), ხან კი კექსებს (ან სხვა საკვებს) მიირთმევს. ახალი ტიპის ქმედებაზე გადასვლა ხდება იმ დროს, როდესაც ტექსტში მოცემულია სიტყვა „პაუზა“. იშვიათ შემთხვევაში ავტორი მიუთითებს, თუ რა სახის ქმედება უნდა განახორციელოს მსახიობმა.

მსახიობ ქალთან ერთად წარმოდგენაში მონაწილეობს ე.წ. „უხილავი ქორო“. მისი შემადგენლობა: სოპრანო, ალტი, ტენორი და ბანი; მართალია, ქოროს გამოყენების იდეა შთაგონებულია ძველბერძნული ტრაგედიებით, „უხილავი ქორო“ არ ითვალისწინებს 12-15 ხმიან შემადგენლობა. ქოროს მიერ წინასწარ ჩაწერილი „პოლიფონიური ლექსები“ გამამდიერებლებში ჟღერს. „პოლიფონიური ლექსების“ ე.წ. პარტიტურები პიესაშივეა მოცემული. პარტიების შესრულება არ საჭიროებს მუსიკალური განათლების ქონას. გამოყენებული მუსიკალური ტერმინოლოგია (ძირითადად ტექსტის კითხვის ტემპისა და დინამიკის აღმნიშვნელი) ახსნილი/თარგმნილია და მოცემულია „მუსიკალური ტერმინოლოგიის განმარტებაში“. „პოლიფონიური ლექსების“ პარტიები შესაძლებელია მსახიობთა მიერ ცალ-ცალკე იქნეს ჩაწერილი, და უკვე შემდეგ მოხდეს ავტორისეული რჩევების გათვალისწინებით საერთო ჩანაწერის დამზადება; თუმცა უმჯობესია, მსახიობებმა საერთო რეპეტიციების შედეგად ჩაიწერონ ლექსები როგორც საერთო საანსამბლო ნომრები.

ლექსების ინტერპრეტირებისას მსახიობს შეუძლია თავისი გემოვნებით ააგოს ფრაზები (ავტორი მიესალმება ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების მელოდიზებასაც, რათა ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ხმის მიერ ლექსების კითხვისას წარმოდგენილ იქნეს რაც შეიძლება უფრო ფართო ბგერათსიმაღლებრივი სპექტრი), თუმცა ავტორის მიერ მითითებული ზოგადი ტემპი (რაც არ გამოირიცხავს *accelerando*-სა და *ritardando*-ს გამოყენებას) და დინამიკა (მისასალმებელია *crescendo*-ც და *diminuendo*-ც), სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს. პარტიების სინქრონიზაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტიც, რომ პარტიტურებში გამოყენებულია ე.წ. დროით-სივრცული ნოტაციის ელემენტები, რაც საშუალებას აძლევს მსახიობებს, გარკვეულ დროით მონაკვეთში დაახლოებით ისე გადაანაწილონ ტექსტი, რა სახითაც ლექსები გადაანაწილებულია ჩარჩოთი შემოსაზღვრულ სივრცეში.

„პოლიფონიური ლექსების“ მასალის შერჩევას ავტორი ეყრდნობოდა ღრმად სუბიექტურ გემოვნებასა და გამოცდილებას. ავტორი უშვებს იმ ფაქტსაც, რომ შესაძლებელია რეჟისორმა შეცვალოს ლექსები (მასალა), თუმცა „პოლიფონიური ლექსების“ როგორც მთავარი თემა, ისე ხმების რაოდენობა და ხანგრძლივობა უნდა დაემთხვეს ავტორისეულ ვერსიას.

„პოლიფონიური ლექსების“ ჟღერადობის დროს რეჟისორს თავად შეუძლია განსაზღვროს, ჩააბნელოს დარბაზი, თუ გამოიყენოს სცენაზე მდგარი ეკრანი სხვადასხვა სახის, ამა თუ იმ „პოლიფონიური ლექსის“ თემასთან ოდნავ მაინც დაკავშირებული ვიდეო-კოლაჟების ჩვენებისათვის.

ვინაიდან პიესა, ავტორის ჩანაფიქრით, წარმოადგენს აუდიო-კომპოზიციასაც, სასურველია, მოხდეს გარკვეული ხმების (მაგალითად, წყლის დუღილი ჩაიდანში, სანთებელათი სიგარეტის მოკიდება და ა.შ.) გაძლიერება. გაძლიერებული უნდა იყოს აგრეთვე მსახიობი ქალის ხმა, რაც საშუალებას მისცემს მას, გამოიყენოს დინამიკის უფრო მდიდარი სპექტრი.

პიესა არ ითავლისწინებს მუსიკალურ გაფორმებას. მუსიკის როლს თავზე იღებენ გაძლიერებული ხმაურ-ბგერები და „პოლიფონიური ლექსები“; სწორედ ამიტომ, არ არის აუცილებელი, მსახიობმა იცოდეს მის მიერ ორიგინალში წაკითხული ყველა ლექსის ენა. ენა, ამ შემთხვევაში, აღიქმება როგორც ჟღერადი, მუსიკალური (თანამედროვე გაგებით) მასალა. დასაშვებია, ცალკეულმა ხმებმა გადაფარონ სხვა ხმები და წარმოქმნან ე.წ. ბგერითი კლასტერები. დადგმაში მხოლოდ ერთხელ ჟღერს ავტორის მიერ მითითებული მუსიკალური ნაწარმოები და ისიც ავტორის მიერ მითითებულ ადგილას.

ავტორისეული რეკომენდაციას უწევს მსახიობ ქალს, თავი აარიდოდ გადაჭარბებულ დრამატიზმს. ტექსტში სჭარბობს მსუბუქი ირონია, ხოლო ყველაზე სევდიანი პასაჟები სასურველია წაკითხულ იქნეს „ყოფის აუტანელი სიმსუბუქის“ შეგრძნებით. მონოლოგები იკითხება განსხვავებულ ტემპებში, თუმცა, სასურველია, მთავარი ტემპი მერყეობდეს *Andante*-სა და *Andante moderato*-ს შორის.

ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები მხოლოდ რეკომენდაციებია. ავტორი ღიაა თანამშრომლობისთვის.

ქალი წამოწოლილია საწოლზე, აფარია თხელი გადასაფარებელი. საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოზე სხვადასხვა საგანს შორის დევს მობილური ტელეფონი. რაღაც დროის შემდეგ იგი წამოჯდება და გადასაფარებელს გადაწევს. იხედება ირგვლივ. ისმის მობილური ტელეფონის ზარი. ქალი დახედავს ეკრანს. ეკრანზე გამოდის „Deda“. ქალი იღებს ყურმილს.

(ჩახრწული ხმით) ალო... (ჩახველებს და განაგრძობს ჩვეულებრივი ხმით საუბარს) ალო... ალო... ჰო... არა მიშავს... არა, მართლა არა მიშავს... ვიცი... ხომ იცი, მაგარი ვარ! რამდენად ძალიან მაგარი, არ ვიცი, მაგრამ მაგარი ვარ!... არ გესმის, რომ მეღიმიება?... რადგან მეღიმიება, კარგად ვარ... არა, არ დაურეკავს ჯერ... გაფრინდა წუხელ, გზაშია... აი, ისევ ვილიმი. რადგან ვილიმი ე.ი. ყველაფერი კარგადაა... კაი რა, დე! არა, მე ხომ გთხოვე, არ მოხვიდე! ახლა მარტო მინდა ვიყო... აზრები უნდა დავალაგო თავში... კი, კი... დაგირეკავ, დე, ხვალ აუცილებლად...

თიშავს ტელეფონს. ეკრანზე ჩანს თარიღი: Thurs, January 23. 20:12. ეკრანი თანდათან ქრება.

მონოლოგი და პოლიფონიური ლექსი No. 1

დედა...

დედაჩემმა ცხოვრებაში ერთადერთხელ დაწერა ლექსი - მე რომ მელოდებოდა, 24 წლის ასაკში ჩემზე ფეხმძიმედ რომ იყო მაშინ. ჩემი პირველი ფოტოალბომის ბოლო გვერდზეა მიწერილი...

შვილს ჩასახულს, ჯერაც უცნობს!

ხმა გამაძლიერებელში

(მსახიობს შეუძლია ხანდახან თავისი მონოლოგი ლექსს ზედ „წააფინოს“)

სოპრანო	<p><i>Adagio, mp-mf</i></p> <p>ციდან ეშვება ფანტელები ნელა, ფარფატით. გულს სიხარული მოეძალა თითქოს ნარნარით, ეს მე მოვფრინავ ციდან, თეთრი ფიფქი კი არა...</p>
---------	---

იტალიაში ვიყავი რამდენიმე წლის წინ. რამდენი მადონა ვნახე, რომ იცოდეთ?! „მადონა ყრმით“ ჩემი უსაყვარლესი თემა იყო ბავშვობიდანვე. სახლში ცნობილი მუზეუმების ალბომები გვექონდა და საათობით ვათვალიერებდი „ერმიტაჟის“, „პრადოს“, „ლუვრისა“ თუ „უფიცის“ მუზეუმების კოლექციებს. ჩემთვის ყველაზე ლამაზი ქალები მადონები იყვნენ... მადონები ყრმებით ხელში!

სოპრანო	- შენ ჩემი გულის ნაწილი ხარ, სუნთქვა ხარ ჩემი! ო, როგორ გელი სულისთქმაო, როგორ მოგელი!
---------	---

ზოგი ყრმას დაჰყურებს, ზოგი ჩვენსკენ იხედება, ზოგი კი სადღაც შორს იყურება... საინტერესო რამეს ამჩნევ, როცა აკვირდები მადონებს, ქრონოლოგიის მიხედვით გამოფენილთ დარბაზებში. შუა საუკუნეებში, საითკენაც არ უნდა იყოს მიმართული მადონას მხერა, ოდნავ განყენებულია იგი. პერსპექტივის შეგრძნებასთან ერთად თანდათან ცოცხლდება მადონა, თანდათან უფრო უახლოვდება ყრმას... მე-16 და მე-17 საუკუნეების მადონები უკვე ცოცხალი დედებივით არიან. რაღაც საოცარი ინტიმურობა იგრძნობა მათ ყრმებთან დამოკიდებულებაში და, როგორც წესი, დედა-შვილის შემყურე, თავს ზედმეტად, მესამედ აღიქვამ... იმდენად უხერხულად ვგრძნობდი თავს, რომ ტელეფონის ამოღება და სურათის გადაღება მეხამუშებოდა ხოლმე.

სოპრანო	თეთრ ფარდას ფარავს ოცნებების ღრუბელი სქელი - ფანჯარას ალებ პაწაწინა ხელებით, ღელვით, შეუშვერ თითებს თოვლის ფიფქებს და გაცეცხობით მიაცქერდები დიდი, მრგვალი, შავი თვალებით...
---------	---

მუსიკის ისტორიაშიც ასე იყო, რომ იცოდეთ. შუა საუკუნეებში, ეკლესიაში ჩასახული მუსიკა რაღაცნაირი... ღვთიური განყენებულობით უმღერდა უფალს. მაგრამ თანდათან ადამიანური წინა პლანზე მოდის და ფარავს ღვთიურს...

კაუზა...

მე-19 საუკუნის ბოლოს ცვილისგან გამოძერწილ მადონას მადონაც კი არ ჰქვია. თავისი ცოლისა და შვილის ურთიერთობის ყველაზე ინტიმური მომენტი ასახა მედარდო როსომ და Aetas Aurea დაარქვა. „ოქროს ხანის“ გარდა სხვაგვარადაც ითარგმნება სათაური - „საუკეთესო ხანა“, „ხანა, რომელიც აღარასოდეს განმეორდება“. ზოგადი სათაურისა და კონკრეტული მოდელის მიუხედავად, ქვეტექსტი ნათელია. მადონების შვიდსაუკუნოვან ისტორიას რომ ჩაუვლი ვატიკანის მუზეუმის დარბაზებში, შეუძლებელია ამ ფიგურის ნახვისას მადონაზე არ იფიქრო... მადონაზე ყრმით ხელში.

სოპრანო	შემოგხვევ ხელებს, სიხარულით ჩაგიკრავ გულში, გაყინულ თითებს, პაწაწინებს რომ დაგიკოცნი - ბედნიერების კარს შევაღებ აღტაცებული...
---------	---

რთავს მობილურს, შედის Gallery-ში და ეძებს ფოტოს. პოულობს როსოს Aetas Aurea-ს.

როგორც კი დავინახე, ელვასავით გამკრა გულში... ფოტოში ვერ იგრძნობა, ისეთი ექსპრესიაა. გგონია, რომ ცოტაც და ბავშვი ისევ დედის ნაწილად, გულის ნაწილად, სუნთქვად იქცევა. არასოდეს შემიგრძენია დედა-შვილის სიყვარული ასე სავსედ ხელოვნების ნიმუშის ყურებისას და არასოდეს მითანაგრძენია მადონასთვის ისე, როგორც იმ წუთას... დიდხანს ვუყურე... მერე ტელეფონი ავიღე და სურათი გადავუღე.

სოპრანო	ო, როგორ გელი სიხარულო, როგორ მოგელი?!
---------	--

სულ ახლახანს, ვალენტინობის დღე შვილმკვდარ დედასთან გავატარე... რომ შემემლოს, ყველა შვილმკვდარ დედას წმინდანად შევრაცხდი, და თან დავხატავდი.... დავხატავდი შვილებით ხელში!

სოპრანო	შენი დედიკო!!! იანვარი, 1975 წელი"...
---------	--

მე იმ წლის მაისში დავიბადე...

მობილური ეკრანი ქრება...

ისე, მადონების ცქერისას იცით ყველაზე უფრო რა გამიკვირდა? როგორ შეძლეს ამ, გასაგებია დიდმა ხელოვანებმა, მაგრამ მაინც... მამაკაცებმა დედა-შვილური სიყვარულის ასე გადმოცემა?!

თუმცა... რამდენიმე წლის წინ მომიყვეს სიღნაღში... ლექსების კონკურსი ჩაუტარებიათ წმინდა ვალენტინის დღეს და ერთ ახალგაზრდა ბიჭს მოუგია. ულამაზესი თაიგული გადასცეს, შენს ვალენტინას მიუტანეო. არაო, დედას უნდა წავუღოო საფლავზე...

ისევე ჩამრჩა ეს ისტორია, როგორც მედარდო როსოს Aetas Aurea ჩამრჩება გულში.

ისმის ტელეფონის ზარი... ეკრანზე იწერება „Eka“. შეხედავს ეკრანს და იღებს ყურმილს.

ჰო, როგორ ხარ?.. მეც - კარგად!.. გასაგებია, რომ მთლად კარგად ვერ ვიქნები, მაგრამ ვუძლებ. ბოლოსდაბოლოს პირველად არ მომეშალა მუცელი. ხომ ხვდები, რომ მეხუთე შემთხვევაა. იმუნიტეტი გამომიმუშავდა ამასობაში... კი, კი... არა მიშავს...

გამომგზიკეს, რამდენიმე საათი დამტოვეს და გამომიშვეს... არა, კაცო... გამომყვა თამუნა... ხომ იცი, ასეთ დროს დას არაფერი სჯობს... არა, არ იყო... გარფინდა წუხელ. გზაშია ახლა... კარგად, აბა! კი, კი, ამ დღეებში გამოვალ!
თიშავს ტელეფონს. ეწერება იგივე თარიღი. ეკრანი თანდათან ქრება.

მონოლოგი No. 2

ასე ერთი წლის წინ ვზივარ ექიმის მოსაცდელში. ჰისტეროსკოპიას ვიკეთებ... ვნერვიულობ. ისე მიეწყო, სულ წყვილები სხედან ჩემს ირგვლივ. ეფერებიან ერთმანეთს, ამშვიდებენ. ჩემი ისევ სადღაცაა...

შემიღონდა გული. საოცრად მარტოსულად ვიგრძენი თავი. გვერდით თამუნა მეჯდა, ჩემი და. შევჩვილე, აი რა ძნელია მარტობა. როცა გიჭირს, ხომ გჭირდება ვინმე, რომ ასე ამოგიდგეს მხარში-მეთქი... ცრემლი ჩამიდგა თვალებში (ხომ გაგიგიათ, some are born to create drama...).

შემომხედა. ნერვების მოშლა, სიმკაცრე და ცინიზმი ერთად ჰქონდა გამოხედვაში. ოხ, ახლა გაჩერდიო. ათ კაცს ერთად ვუდრი მხარში ამოდგომაში და ნუ წუწუნებო!

ჯერ გავქვავდი და მერე სიცილი ამიტყდა.

მართალია. კაცების წინააღმდეგ არაფერი მაქვს, გეფიცებით. მაგრამ მართლა ასეთია!

პაუზა...

ხუთი წლის ვიყავი, საშინლად მოწყენილად და მარტოსულად რომ ვიგრძენი თავი და ღმერთს დაიკო ვთხოვე... ეს ის ღმერთია, ჩემს საბჭოთა ბავშვობაში რომ არ არსებობდა. კი არ არსებობდა, როგორც მიმტკიცებდნენ, მაგრამ მივხვდი, რომ ყველაზე ძლიერი იყო მათ შორის, ვინც არსებობდა და მხოლოდ ის თუ შემისრულებდა თხოვნას. გასაგებია, თხოვნა დედ-მამამ შემისრულა, მაგრამ მთლად მისი ჩაურევლობა არ ყოფილა... დღესაც ასე მწამს!

მოკლედ, რომ დაიბადა, იმის მერე სულ ერთად ვართ!.. ვინ თქვა, მეორე ნახევარი მარტო მეუღლე უნდა იყოსო?! ჩემი დაა ჩემი მეორე ნახევარი!

პაუზა...

გერმანიაში რომ წავედი სასწავლებლად, თურმე ძალიან დაღონებულა. ითმინა მთელი თვე დედაჩემმა, ბოლოს შეწუხდა და უთქვამს - რა გჭირს, ჩემი შვილია და მე უფრო კარგად ვიტან უიმისობასო.

თამუნას უპასუხია - შენ მის გარეშე ოცდაოთხი წელი იცხოვრე, და მე კი, რაც დავიბადე, ჩემს გვერდით მყავდაო. სად შენი და სად ჩემი სევდაო.

პაუზა...

ხშირად ვფიქრობ ისე... რამდენად განსხვავებულად განვიცდით ადამიანები სევდას? გამოხატვაზე არ ვსაუბრობ, განცდაზე... უფრო მეტიც... არსებობს ქართული სევდა? გერმანული?... ეს რუსები სულ რუსულ სულზე რომ საუბრობენ, ამ სულს განსხვავებულად შეუძლია ვითომს სევდის განცდა?

პაუზა...

რამდენიმე თვის წინ, გერმანიაში სამი თვით გამგზავრებამდე, ვუცდიდი რა ჰაონოვერის რეისს სტამბოლის აეროპორტში, რაღაცნაირ სევდას ვებრძოდი. რატომღაც საოცრად ეულად ვიგრძენი თავი ხალხმრავალ აეროპორტში, უამრავი ენითა და კულტურით გარშემორტყმულმა... ასე ჟღერდა ალბათ ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ბოლო ეტაპი, როცა ჩვენი ერთიანი თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა აგვირია ენა და გაგვფანტა დაცალკევებულად თავხედნი მთელს დედამიწის ზურგზე... და უცბად, რაღაც მომენტში, Viber-ზე დაურეკა ვიღაცას ახლობელმა. კი უპასუხა უცნობ ენაზე, მაგრამ Viber-ის ზარი იმდენად ნაცნობი, როგორც ჯონ კეიჯი იტყოდა, sound event იყო, რომ რაღაც სიტბო ვიგრძენი ამ ადამიანის მიმართ, გადაკვეთის წერტილი აღმოვაჩინე მასთან თითქოს. და მერე გავიგონე Messenger-ის, WhatsApp-ის, Skype-ის ზარები, ჩემი Samsung-ის ტელეფონის რინგტონი... ყველაფერი ამ მომენტის მერე გავიგონე... მანამდე არ ვუსმენდი, თუ არ ვიაზრებდი, ეტყობა... ერთდროულობაში შევიგრძენი მრავალი ადამიანისა და მათი გაჯეტების ხმები - ნამდვილი პოლიფონია - და უცებ ერთი პატარა ბავშვივით ვიგრძენი თავი... წლების წინ წავიკითხე რომელიღაც გაზეთში, როგორ წაიყვანეს ქართველი ბავშვი ამერიკულ ბაღში ემიგრანტმა მშობლებმა და როგორ კითხეს პირველ დღეს შინდაბრუნებულს, როგორ მოგეწონა ბაღი. და როგორ უთხრა პატარამ, რაღაც უცნაურ ენაზე ლაპარაკობდნენ ყველანი, მაგრამ ახველებდნენ და ტოროდნენ ქართულადო...

რა უცნაურია... რამდენი რამ გვაქვს საერთო და როგორ ვუცხოვდებით ხოლმე ერთმანეთის მიმართ... არადა ბევრი კი არაფერია საჭირო: წავიტიროთ ერთი, ვუპასუხოთ Viber-ის ზარს, ჩავახველოთ და გავიხსენებთ, რომ ერთი იდეიდან და წიაღიდან ამოსული თავხედნი ვართ და წესით ბევრად კარგად უნდა გვესმოდეს ერთმანეთის...

წესით...

პოლიფონიური ლექსი No. 2

უხილავი ქორი

სოპრანო	<i>Adagietto, mf</i> სევდა ზღვა არის, იდუმალი და უნაპირო, გულ-გონებაში ჩამომდგარი ჩუმი მთა არი, მზის ჩასვლის მერე დარჩენილი თალხი ნაგრილი.
---------	--

ალტი	■
სოპრანო	მზე იწურება მთების იქით, მიმწუხრი დგება, ჰ
ალტი	<i>Andante, mp</i> ჰ Márgarét, áre you gríeving over Goldengrove unleaving? ჰ
სოპრანო	გულში კი სევდა სალამოვდება, დგას ბნელი ღამე, იდუმალი და თავდახრილი... ჰ
ალტი	<i>Andante, mp</i> ჰ Leáves like the things of man, you with your fresh thoughts care for, can you? ჰ
სოპრანო	ჰ გაივლის ჟამი, მთის იქიდან ამოვა მთვარე და ამ სევდიან ღამეებში ისე
ალტი	Ah! ás the heart grows older ჰ it will come to such sights colder by and by, nor spare a sigh
სოპრანო	ჩადგება, როგორც ნაზამთრალ თალხ ტყეებში თეთრი აპრილი...
ალტი	ჰ though worlds of wanwood leafmeal lie; And yet you will weep and know why. ჰ
სოპრანო	■
ალტი	Now no matter, child, the name: Sórrów's spríngs áre the same. Nor mouth had, no nor mind, expressed what heart heard of, ghost guessed: ჰ It ís the blight man was born for, it is Margareet you mourn for.

ისმის სატელეფონი ზარი. დახედავს ეკრანს, რომელზეც ეწერება „Gujji“ და იღებს ყურმილს.

ჩემი ოქრო!.. შენ შემოგვევლოს შენი მამიდა!.. ვიცი, რომ ძველმოდურია, მაგრამ მე მაინც მიყვარს, ასე რომ გეძახი... ჩემი ოქრო გოგო ხარ შენ!.. არა, გუჯუჯი, კარგად ვარ!... გეფიცები!.. შენს თავს ვფიცავარ, მართლა!.. მეც მიყვარხარ.. თან ძალიან!.. არა, მე უფრო!.. მე უფრო!.. კარგი, შენ გიყვარვარ უფრო! ასე იყოს... გკოცნი!

თიშავს ტელეფონს. ეკრანი ბნელდება.

მონოლოგი No. 3

პატარა მარიამო ჩავიყვანეთ ეზოში ერთხელ, ბევრი წლის წინ... ხან ბაბუას მიერ წვალეებით დამყნობილი ტოტები გადატეხა, ხან ყვავილები დაპუტა. აინტერესებდა და იკვლევდა. ბოლოს კუს მიადგა... მოსაფერებლად... მთელი საათი ვიცავდით... საწყალ კუს... გადარჩა!

ის კი გადავარჩინეთ, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი პატარა, საყვარელი და უგუნური არსებები ზემოთაც იყვნენ, ჩვენზე მბრძანებელ სხვა განზომილებაში?! ჩავარდები მთელი შენი ცხოვრებით ასეთის ხელში, ქე რომ იწყებს თავის სამყაროში ცხოვრებას.... თამაშობს ადამიანებით, ბუნებით, ერთობა და ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე გინგრევს ცხოვრებას - ადამიანს, ქალაქს, ქვეყანას, კონტინენტს, მთელს პლანეტას...

ვაი თუ ესა თუ ის დიდი ბოროტება თუ უბედურება სხვა განზომილების მასშტაბით ერთი პატარა, საყვარელი და უგუნური ზეარსებების თამაშების შედეგია?! თუ გამოჩნდა ვინმე ზრდასრული, ხომ გადარჩი... თუ არადა...

გაგელიმათ? აბა ჩვენს კუს ჰკითხეთ...

პაუზა...

ისე, ამ კუს წყალობით, ეგზისტენციალური საუბარი გავმართე უკვე 6 წლის მარიამთან. ეზოში მოსეირნე კუს ვუთვალთვალეთ ერთი ნახევარი საათი. ვისაუბრეთ მისი მოძრაობის ტემპზე, სინელეზე, სიმშვიდეზე, კუს ანატომიაზე, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე... პატარა პაუზის შემდეგ უცებ მკითხა, ეს 300 წლის მერე რომ მოკვდება, მე სად ვიქნებიო?..

ჩვენ ვსაუბრობდით ხანდახან სიკვდილზე. მშვიდად... ოთხი წლიდან აინტერესებდა ეს საკითხი. ჯერ საშინლად ღელავდა, განიცდიდა. შეიძლება ითქვას, პირველი ეგზისტენციალური კრიზისი გაიარა. მერე ბებომ მოაგვარა საკითხი. ყველა თამაშში ერთხელ მაინც ახსენებდა, როგორ წავიდოდა ცაში და რაღაცნაირად ეს ცაში წასვლა სამეზობლოში გადასვლასავით იქცა მარიამოსთვის.

ასე გვეგონა... და მერე ეს მკითხა...

ჩემი ვარაუდით, რაღაც სხვა ფორმით სადღაც სხვაგან ვიარსებებთ და იქიდან შევხედავთ კუს გარდაცვალებას-მეთქი. რატომ უნდა შევიცვალოთ ფორმა, არ შეიძლება სულ ასეთები ვიყოთო?.. მე ვუთხარი, აქ ცოტა რომ მოგვწყინდება, იქ წავალთ, სადაც უფრო ბედნიერები ვიქნებით-მეთქი...

მე ახლაც, აქაც და ამ ფორმითაც ბედნიერი ვარო...

პაუზა...

აღბათ, აი ასე ბედნიერება მხოლოდ ბავშვებს ესმით...

არადა, როგორ გვინდა, ვიყოთ ბედნიერები?!..

და რატომ არის ასე ძნელი, იყო ბედნიერი... აი ასე, უბრალოდ... ამ ფორმით და აქ?..

(მიმართავს მაცურებელს) ხომ გინდათ, იყოთ ბედნიერი?..

პაუზა...

ვდგავარ ერთხელ ამსტერდამის ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში. ხელში მიჭირავს წყლის ბოთლი და ვიდრე მაგას ვიყიდი, ვიტრინაში ჩამწკრივებულ კექსებს ვათვალიერებ - ხომ არ ვიყიდო და თან წავიყოლიო დელფტში? იქ ფესტივალში ვიღებ მონაწილეობას, ბევრი სამეცადინო მაქვს და ხანდახან პირს და გონებას ჩავიმტკბარუნებ-მეთქი....

უცებ უკნიდან მესმის ბარიტონის ხავერდოვანი ხმით წარმოთქმული კითხვა - Miss, do you wanna be happy? გაოგნებულმა უკან მივიხედე, ტიპი ავათვალიერ-ჩავათვალიერე და ვუპასუხე, გულწრფელად - მე ისედაც ჰეფი ვარ-მეთქი...

ტიპი ჩემზე მეტად გაოგნდა. მერე გონება მოიკრიბა და მიხსნის: ჰო, მაგრამ ჩვენი კექსები უფრო გაგაბედნიერებენო; გვაქვს სუსტი, საშუალო და ძლიერი ბედნიერების კექსებიო.

უცებ... თუმცა, მთლად უცებ არა... მივხვდი, რომ ჩვეულებრივ სასურსათო მაღაზიაში არ ვდგავარ, მერე კექსებს გადავხედე და ისტერიკული სიცილი ამიტყდა. კაცმა იფიქრა, რომ მე უკვე მართლაც „გაბედნიერებული“ ვიყავი, წყლის ფული გამომართვა და დამემშვიდობა.

მე კი ბედნიერების კექსების გარეშე გამოვედი მაგ მაღაზიიდან და იმის მერე სულ გული მეთანაღრება. შეიძლება ამსტერდამში იყო და გემო არ გაუგო ჰოლანდიურ ბედნიერებას?..

და ისე, რა საინტერესო კატეგორიზაციაა: სუსტი, საშუალო და ძლიერი ბედნიერება?!

და ეს კექსები ჩემთვისაა მოგონილი. ჩვეულებრივი კექსების ჭამაც კი მაბედნიერებს (სამზარეულოს კარადიდან გამოაქვს კექსები), და მაგ კექსები რას მიზამს, წარმომიდგენიათ... (და იწყებს ჭამას)

(მიმართავს მაცურებელს) Do you wanna be happy?

პოლიფონიური ლექსი No. 3

უხილავი ქორო

სოპრანო	■
ალტი	■
ტენორი	<i>Allegro, p</i> ESTA vez dejadme ser feliz,nada ha pasado a nadie, no estoy en parte alguna,sucede solamenteque soy feliz por los cuatro costados del corazón, andando, durmiendo o escribiendo.

სოპრანო	
ალტი	<i>Moderato, mf</i> ჭ
ტენორი	გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე, რაც უნდა ჭირში ჩავარდე, ჭ Qué voy a hacerle, soy feliz. ჭ Soy más innumerable que el pasto en las praderas, siento la piel como un árbol rugoso y el agua

სოპრანო	■
ალტი	ცხოვრების დახლართული გზა უშიშრად გაინწავარდე! ჭ
ტენორი	abajo, los pájaros arriba, el mar como un anillo en mi cintura, hecha de pan y piedra la tierra el aire canta como una guitarra.

სოპრანო	<i>Larghetto, mp</i> ჭ
ალტი	ჭ ყველა გიყვარდეს და ცოდვაც შეუნდვე წრფელის გულითა! ჭ
ტენორი	Tú a mi lado en la arena eres arena, tú cantas y eres canto, el mundo es hoy mi alma, canto y arena, el mundo es hoy tu boca,

სოპრანო	that rambles in the Road alone, and doesn't care about Careers and Exigencies never fears ჭ
ალტი	მით ამაღლდები მდაბალი, სხვებისგანც სიყვარულითა. ჭ
ტენორი	dejadme en tu boca y en la arena ser feliz, ჭ

სოპრანო	Whose Coat of elemental Brown a passing Universe put on, ჯ
ალტი	ჯ მარტო შენს თავზე ნუ ზრუნავ, სხვებიც გახსოვდეს მარადა, შრომა აილე მახვილად და მოთმინება ფარადა!
ტენორი	ser feliz porque si, porque respiro y porque tú respiras, ser feliz porque toco tu rodilla y es como si tocara la piel azul del cieloy su frescura. ჯ

სოპრანო	ჯ And independent as the Sun associates or glows alone, fulfilling absolute Decree in casual simplicity.
ალტი	აი, ეს არის ამქვეყნად შვება და ბედნიერება და უკვდავების მარადი, უჭკნობი ბედნიერება!
ტენორი	Hoy dejadme a mí solo ser feliz, con todos o sin todos, ser feliz con el pasto y la arena, ser feliz con el aire y la tierra, ser feliz, contigo, con tu boca, ser feliz.

ისმის მესიჯის ხმა. უყურებს ტელეფონს. ეკრანზე იწერება მესიჯი. კონტაქტის სახელი - „ბოყფრიენდ“ (ქართულად)...

ბოყფრიენდ: „როგორ ხარ? როგორ ჩაიარა ყველაფერმა? ხომ ხარ ყოჩაღად? <3“

ქალი: (კრეფს ტექსტს) „არა მიშავს. ვუძლებ. ხომ იცი, მაგარი ვარ!“

ბოყფრიენდ: „ეჭვი არ მეპარება. ახლა მატარებელში ვჯდები და როგორც კი ჩავალ, დაგირეკავ. :*“

თიშავს ტელეფონს. ეკრანზე ჩანს თარიღი: Fri, May 15, 19:23.

მონოლოგი No. 4

ჰმ... მკოცნის!

მე მგონია, დავშორდებით... სულ მალე. რამდენ ხანს შევძლებთ აი ამის ატანას?! ვერც გაამტყუნებ... მაგრამ მაინც მიშლის ნერვებს.

ან ის ერთადერთია, ვისაც ვანთხევ... თავს უფლებას ვაძლევ...

არადა მკოცნის...

ჰაუზა...

ულამაზეს თქმულებას გადავაწყდი იმ დღეს, პლატონურ კოცნაზე... პლატონურ ამბორზე... რენესანსის ეპოქის იტალიელი დიპლომატის, ბალდასარე კასტილიონეს 1528 წელს გამოცემულ წიგნში „სამეფო კარის დიდებული“... პლატონური ამბორისას ბაგეთა ერთმანეთთან შეხებით თურმე სულები ეხებიან ერთმანეთს... უმაღლესი ხარისხის სიამოვნების განცდის შედეგად ისინი ადგილებს იცვლიან - საყვარელი ადამიანის სხეულში გადადიან... ამიტომ განიცდიან ასე მწარედ განშორებას საყვარლები (პლატონური, ოღონდ!)... ამიტომ ილტვიან ერთამენთისკენ... იდეაში, საკუთარ სხეულს, საკუთარ მე-ს ეძებენ და მხოლოდ მაშინ პოულობენ მას... და შვებას, როცა კვლავ ეამბორებიან ერთმანეთს...

ამის წამკითხვარე, დავფიქრდი... იქნებ ეს პრინციპი მხოლოდ პლატონური სიყვარულისა და ამბორის შემთხვევაში არ მოქმედებს? იქნებ ყველასა და ყველაფერში, რაც გვიყვარს, ჩვენს სულს... თუ არ ვასახლებთ, სულის ნაწილს მაინც ვტოვებთ და მერე ეს ნაწილი გვენატრება?! ნუთუ სიყვარული ყველა გამოვლინებაში მაინც ეგოისტური აქტია? სხვა არაფერი, თუ არა საკუთარი თავის, გასხვისებული სულის მონატრება და ძიება?

ასე იტაცებენ ჩვენი სულის ნაწილებს ადამიანები, საგნები, მოვლენები... ასე იცლები თანდათან და მერე დასდევ მათ, ან სხვებს, რომ საკუთარი სულის დაცარიელებული სივრცეები კვლავ შეივსო... რომ შენი სული კვლავ გაამრთელო...

თან ნეტავ მხოლოდ ამბორი ჰყოფნიდეს ამ ამბავს?!..

ჩემს დიდ სიყვარულებსა და ტკივილებზე მეფიქრება ახლა... სამუდამოდ დაიტოვეს ჩემი სულის ნაწილები... თან დიდი... არ მიბრუნებენ უკან... ვერც დამიბრუნებენ... ამიტომ დავდივართ ასე, სულნაკლულნი, და სხვის სულებში ვაფათურებთ ხელებს... არადა არ ღირს!.. არ ღირს!

პაუზა...

ჩემი დიდი სიყვარულები... შემხვედრია კი დიდი სიყვარული?! ბავშვობიდანვე გვიჭედავენ თავში, რომ ის არსებობს... უფრო მეტიც, თითქოს შენი მოვალეობა ხდება, ამ დიდი სიყვარულის მოძებნა... ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდო... და ყოველი გაწბილების შემდეგ მშვიდდები და ამბობ - ეს არ იყო ის ერთი. და იმედს იტოვებ, რომ შეგხვდება აუცილებლად. გაკოცებს და გაგიცვლის სულს...

არადა გიფიქრიათ იმაზე, რომ ის ერთი თუ არა, შენი სულის რამდენიმე ადამიანი ნამდვილად არსებობს... მაგრამ ჯერ უნდა იპოვო... და თუ იპოვი, უნდა გაგიმართლოს და დაემთხვეთ ბევრ რამეში - მაგალითად, გეოგრაფიულ მდებარეობაში. მე, პირადად, ერთხელ მომეჩვენა, რომ რვა საათი ამერიკაში ჩემი სულის ადამიანთან ერთად ვიფრინე მიუნჰენიდან ბოსტონში. მაგრამ ის ამერიკელი იყო, ბოსტონელი, მე კი სულ რაღაც ერთ კვირაში გერმანიაში ვბრუნდებოდი... და აი ასე დავკარგე ჩემი სულის ადამიანი.

პაუზა...

შენი ადამიანი ის არის, ვინც შენში ბედნიერება იპოვა, დანარჩენი - სტუმარიაო, ჯალალედინ რუმიმ... ჰმ...

ან, მაგალითად, ასაკში უნდა დაემთხვეთ. გაიცნობ 20-30 წლით უფროსს... ან უმცროსს... იცი, რომ დიდი შანსია, მასში ბედნიერება იპოვო, და მანაც იპოვოს შენში ბედნიერება... მაგრამ იმდენი პრობლემა მოჰყვება ამ სხვაობას... იმდენი... ისევ სტუმარს არჩევ, მეტ-ნაკლებად შენს ტოლს, შენს ქალაქში რომ ცხოვრობ ისეთს... თავისუფალი რომაა ისეთს... და გადის ასე ცხოვრება... სახლში სტუმართან ერთად. ცუდი რამაა, იდეაში... ცუდი...

პაუზა...

„აბესალომ და ეთერს“ ვუყურე ახლახანს ოპერაში. მერე „ეთერიანსაც“ გადავხედე ჩემს მოგონებებში... და მერე ჯონ კეიჯი გამახსენდა, ამერიკელი კომპოზიტორი.

კეიჯზე თავის დროზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ინდოელი ხელოვნებათმცოდნის ანანდა კუმარასვამის თეორიამ, რომლის მიხედვით, ინდური ხელოვნების ესთეტიკა ეფუძნება ცხრა ე.წ. ურყევ ემოციას. აქედან ოთხი ემოცია - ეროტიკა, გმირობა, გაოცება, სიხარული - თეთრი ფერისაა, ოთხი კი - წუხილი, რისხვა, შიში, ზიზღი - შავის. ეს „ფერადი“ ემოციები, როგორც კუმარასვამი წერს, ამჟღავნებენ სწრაფვას მეცხრესკენ, რომელსაც ფერი არ გააჩნია. მეცხრე ემოცია - სიმშვიდეა. საინტერესოა, რომ კუმარასვამის მოსაზრებით, ეს ემოციები კოდირებულია არა მარტო ინდურ, არამედ აღმოსავლურ და დასავლურ ხელოვნებაშიც...

ჩემს სტუდენტებს ამაზე რომ ვუყვები, ყველა ერთხმად მეკითხება - სიყვარული სადღაა?..

სიყვარული ხომ გრძნობაა, და არა ემოცია, ვეუბნები ხოლმე. ფალიაშვილის სმენისას კი ვიფიქრე, რომ სიყვარული (თუ, რა თქმა უნდა, საუბარია იმ სიყვარულზე, ეროსი რომ მოაყოლებს ხოლმე თავის ისარს) რვავე ფერად ემოციას მოიცავს - თეთრსაც და შავსაც... „აბესალომის“ სმენისას დავთვალე რვავე - სიხარულიც, გაოცებაც, შიშიც, რისხვაც, გმირობაც, ეროტიკაც, წუხილიც და... ზიზღიც კი... ბავშვობაში მკლავდა ის იდეა, რომ აბესალომს შეეზიზღა მკბენარებშესეული ეთერი და უსიყვარულობისთვის გასწირა თავიც და საყვარელი ქალიც. რაღაც ახალი კუთხით დავინახე ეს ეპოსი, ქარაგმული ენითა და სიმბოლოებით რომ აღწერს სიყვარულის... არა, ჭეშმარიტი, დიდი სიყვარულის ანატომიას... ალბათ რვავე ურყევი ემოცია უნდა გაიარო, თან არაერთხელ, თან არ დანებდე და მერე შეგიძლია თქვა, რომ მართლა გიყვარდა...

და მერე...

და მერე სიმშვიდეა...

პირველად გავაიგივე უფერო სიმშვიდე სიკვდილთან... იქნებ რომეოსა და ჯულიეტას, ტრისტანისა და იზოლდას, აბესალომისა და ეთერის ამბავთა ტრაგიკული დასასრული სულაც არაა ტრაგიკული და სიკვდილი მხოლოდ ლოგიკური დასასრულია რვა ფერადი ემოციის ლტოლვისა მეცხრესკენ? იქნებ ეს ლტოლვა მართლაც უფრო დიდია, ვიდრე შეყვარებულთა ლტოლვა ერთმანეთის მიმართ? და ეს ისეა ჩადებული სიყვარულის სტრუქტურაში, რომ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის წიაღში დაბადებული ყველა დიდი სიყვარულის ისტორიას ერთნაირი დასასრული აქვს?!

მგონი, პირველად შევეხე დიდი სიყვარულის სტრუქტურას „ეთერიანის“, ფალიაშვილის, კეიჯისა და კუმარასვამის დამსახურებით...

ოღონდ, საუბარია მართლაც დიდ სიყვარულზე, რომლის განცდის ბედნიერება ყველას არ გვაქვს. საერთოდ ვინმეს აქვს? ჰოდა, ვკმაყოფილდებით თითო-ოროლა თეთრი თუ შავი ემოციის ნარევით და სადღაც ღრმად გულში ვოცნებობთ განცდის უფრო მაღალ ხარისხზე, იმ დიდზე... ვქმნით ეპოსებს, პიესებს, ოპერებს... ვკითხულობთ, ვასრულებთ, ვუსმენთ, ვუკრავთ ტაშს და ... მერე საკუთარ თავთან მარტო დარჩენილნი, ვილტვით დიდი სიყვარულისკენ, რომელიც, იდეაში, მხოლოდ სიკვდილით მიღწეულ სიმშვიდეში აღწევს სრულყოფილებას. სიმშვიდესა და... ხელოვნებაში...

პოლიფონიური ლექსი No. 4

უხილავი ქორო

სოპრანო	■
ალტი	■
ტენორი	<i>Larghetto, mf</i> ‡ Weil ich dich liebe, bin ich des Nachts so wild und flüsternd zu dir gekommen,
ბანი	<i>Adagio, mf</i> ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ!- ‡ იმ ერთის პოვნისთუ გახდი ღირსი!...

სოპრანო	<i>Moderato, pp</i> Dame la mano y danzaremos; dame la mano y me amarás. ‡ Como una sola flor seremos, como una flor, y nada más...
ალტი	<i>Largo, p</i> ‡ ز اول که حدیث عاشقی بشنودم
ტენორი	‡ Und dass du mich nimmer vergessen kannst, hab ich deine Seele mitgenommen. ‡
ბანი	‡ არაერთს ისე მოელო ბოლო, ‡ თვალიც ვერ მოჰკრა გაჩენილს მისთვის. ‡

სოპრანო	‡ El mismo verso cantaremos, al mismo paso bailarás. Como una espiga ondularemos, como una espiga, y nada más. ‡
ალტი	جان و دل و دیده در رهش فرسودم ‡ گفتم که مگر عاشق و معشوق دواند
ტენორი	‡ Sie ist nun bei mir und gehört mir ganz im Guten und auch im Bösen; ‡
ბანი	‡ ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ!... სად არის იგი? - ეს ღმერთმა იცის!

სოპრანო	Te llamas Rosa y yo Esperanza; pero tu nombre olvidarás, porque seremos una danza en la colina y nada más...		
ალტი	‡		خود هر دو یکی بود من احوال بودم
ტენორი	Von meiner wilden, brennenden Liebe kann dich	‡	kein Engel erlösen. ‡
ბანი	‡	იმ ერთის ხილვის, იმ ერთის პოვნის, - ათასში ერთი გამხდარა ღირსი!	

პოლიფონიური ლექსების გაჟღერებისას რამდენჯერმე ისმის ტელეფონის ზარის ხმა. ქალი არ იღებს ტელეფონს... ლექსები რომ მთავრდება, ისმის მესიჯის ხმა. ქალი უყურებს ტელეფონს. ეკრანზე იწერება მესიჯი. კონტაქტის სახელი „ეკა“. ხსნის მესიჯს.

ეკა: „გოგო, რამდენი ხანია გირეკავ! გული არ გამიხეთქო და აიღე. და ისე, გული არ გაიტეხო, გესმის! დამირეკე, როგორც კი შეძლებ!!!“
გამოდის „მესენჯერიდან“. ეკრანზე იწერება თარიღი: Fri, October 16, 21:37

მონოლოგი No. 5

გული არ უნდა გავიტეხო!...

ძველ ეგვიპტეში გარდაცვლილთა მუმიფიცირების პროცედურა ყოველთვის შიშისა და აღფრთოვანების ნარევ გრძნობას იწვევდა ჩემში. ბავშვობიდან.... ბრიტანეთის მუზეუმში სეირნობისას არაერთი მუმია ვიხილე და მუმიფიცირების ტექნიკის დეტალებსაც გავეცანი... ზოგი გავიხსენე, რა თქმა უნდა...

ყველაზე მეტად ერთმა დეტალმა გამაოცა. ხრწნის პროცესის შესაჩერებლად პირველ რიგში შიდა ორგანოებს ამორებდნენ სხეულს: ტვინი ცხვირიდან გამოჰქონდათ, სხვა ორგანოების ამოსაცლელად კი მარცხენა გვერდს კვეთდნენ. ამ ორგანოებს, როგორც წესი, განცალკევებულ ჭურჭელში ინახავდნენ და ისე ატანდნენ სხვა სამყაროში გადასულს. თუმცა, გულს უტოვებდნენ. გული გარდაცვლილს ღმერთებთან შეხვედრისას ესაჭიროებოდა. მხოლოდ გულს შეეძლო სრულად ეჩვენებინა ღმერთებისთვის, რას წარმოადგენდა გარდაცვლილთა სამყაროს კარსმომდგარი.

ჰოდა, გულის გასაკონტროლებლად ბრძენ და მოხერხებულ ეგვიპტელებს ხოჭოს ფორმის ამულეტები გამოუგონიათ. „გულის ხოჭოებს“ შეულოცავდნენ და გულიც არასოდეს წავიდოდა განკითხვის დღეს ღმერთების წინაშე წარმსდგარი პატრონის წინააღმდეგ...

სად ვიშოვო ეს შელოცვები? ან „გულის ხოჭოები“? როგორ შევხვდე ღმერთებს აი ასე, გულახდილი გულის ამარა?..

გულს უნდა მივხედო!.. მაშინ მივხვდი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, რაც არ უნდა მოხდეს, გული არ გავიტეხო!

პაუზა..

საოცარი რამ მომიყვა ერთმა ნიუ-იორკელმა მუსიკის მასწავლებელმა. ცხრა წლის ბიჭს ამეცადინებდა ფორტეპიანოზე და ურჩევდა, ცოტა უფრო გრძნობით დაუკარიო, შენი დაკრული გულიდან უნდა მოდიოდესო. ეტყობა, გაუწყალა გული და ბოლოს შეღონდა ბავშვი, შეწუხებულმა წამოიძახა თურმე: კაცო, გულიდან ვუკრავ, გულიდან, ეს ჩემი გულია და მე ზუსტად ვიცი, რომ გულიდან ვუკრავ! აბა შენ საიდან უნდა იცოდე, ჩემ გულს რა უნდაო!..

სხვის გულს რას გაუგებ? ამიტომ, იქნებ სჯობს, დავანებოთ თავი! საკუთარს მივხედოთ!
ბავშვის ბაგეთაგან ხომ ჭეშმარიტება ღაღადებს...

პაუზა...

მე და მარიამოს გვიყვარდა თამაში... სიტყვებით თამაში. ვდგავართ მე და ოთხი წლის მარიამო სამზარეულოში და ვლოკავთ ფიალიდან გამდნარ შოკოლადს. არ მახსოვს, რატომ მითხრა მარიამომ ეს, მაგრამ მახსოვს ყოველი სიტყვა, თქმული მისი ამ წინადადების შემდეგ.

- მამიდა, ცუდია, როცა ტვინით არ ფიქრობ, ტვინს არ უჯერებ, - მეუბნება და თან შოკოლადიან კოვზს ლოკავს.

- მართალი ხარ, - ვეუბნები, - ტვინს უნდა დაუჯერო, მაგრამ...

ახლა მე ვლოკავ შოკოლადს. - ხომ არის ხანდახან, გული რაღაცას გეუბნება?

- კი, - მაშინვე მეთანხმება მარიამო. არც კი ყოვნილება. ზუსტად იცის, რაზე ვსაუბრობთ.

- მაშინ? - ვეკითხები.

- მაშინ გულს უნდა დაუჯერო, - მირჩევს მარიამო.

მე მახსენდება კაცობრიობის ისტორიაში ვინ იცის რამდენჯერ დასმული კითხვა; ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კითხვა... კითხვა, რომელზეც ვერავინ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს.

- მარიამო, და ხომ არის, ტვინი ერთს გეუბნება, და გული მეორეს? - ვუსვამ ამ პატარა დილს შეკითხვას და ველოდები, თუ გაიგებს აბა მის არსს.

- კი, - მაშინვე მპასუხობს.

მე აღფრთოვანებული ვარ. მაგრამ მაინც არ ვკარგავ მისი დაბნევის იმედს.

- მაშინ რა უნდა ქნა?

ხომ არ გგონიათ დაიბნა?! ხომ არ გგონიათ შეყოვნდა?! გალოკა კოვზი და მეუბნება:

- მაშინ დედას უნდა დაუჯერო!

პაუზა...

დედა...

პოლიფონიური ლექსი No. 5

სოლისტი

უხილავი ქორო

<p>Andante, mf-f ქალი დედაა, პირველ რიგში, ასე ამბობენ, დედა, რომელიც, თუ რამეა, შვილს სწირავს სიცოცხლეს. მაგრამ ნუთუ მხოლოდ ესაა ქალის ვალდებულება, მისი ხვედრი? გნებავთ - მთავარი დანიშნულება?</p> <p><i>(poco a poco accelerando al Allegretto)</i> ოდეთგან სურდათ ნუთუ ასე ღმერთებს, სამყაროს, რომ ქალმა თავის სხეულში სულ სხვა სული ატაროს? და შემდეგ მოავლინოს ამქვეყნად, განსხეულებული და ზარდოს იგი, მასზე ზრუნვით წლები ატაროს? თან მას ასწავლოს... ჭამა, ჩაცმა, თმების დავარცხნა, თავის მოვლა, თასმის შეკვრა, ხელის დაბანა, წერა, კითხვა... მეგობრობა და სიყვარული, თამაში, ბრძოლა, თანადგომა და სიბრალული... ასწავლოს ლოცვა, კლდეზე ცოცვა, ლაღი სიმღერა, შეკითხვის დასმა, პასუხის პოვნა, პრობლემის გადაჭრა, საუბრის წარმართვა, კამათის გამართვა... სიცოცხლით ტკბობა, ხელის შევლება, სხვისი გაშვება, სიკეთით თბობა...</p>	<p>სოპრანო</p> <p>Allegro, mp ...Ay mamá, ¿cómo pude vivir sin recordarte cada minuto mío? No es posible. Yo llevo tu Marverde en mi sangre, el apellido del pan que se reparte, de aquellas dulces manos que cortaron del saco de la harina los calzoncillos de mi infancia, de la que cocinó, planchó, lavó, sembró, calmó la fiebre, y cuando todo estuvo hecho, y ya podía yo sostenerme con los pies seguros, se fue, cumplida, oscura, al pequeño ataúd</p>	<p>ალტი</p> <p>Allegro moderato, p Ich hatte dir so viel zu sagen, Ich war zu lang im fremden Land, Und doch warst du in all den Tagen Die, die am besten mich verstand. Nun da ich meine erste Gabe, Die ich dir lange zugedacht, In zagen Kinderhänden habe, Hast du die Augen zugemacht. Doch darf ich fühlen, wie beim Lesen</p>	<p>ტენორი</p> <p>Allegro, pp Nature - the Gentlest Mother is, Impatient of no Child - The feeblest - or the waywardest - Her Admonition mild - ... When all the Children sleep - She turns as long away As will suffice to light Her lamps -</p>	<p>ბანი</p> <p>Andantino, ppp Il y a plus de fleurs Pour ma mère en mon cœur Que dans tous les vergers Plus de merles rieurs</p>
---	--	--	--	---

<p><i>Andante</i> მერე კი ადგეს, ხელი გაუშვას, და დარჩეს მარტოდ... ოდეთგან სურდათ ნუთუ ასე ღმერთებს, სამყაროს?</p>	<p>donde por primera vez estuvo ociosa bajo la dura lluvia de Temuco.</p>	<p>Mein Schmerz sich wunderlich vergißt, Weil dein unsäglich gütig Wesen Mit tausend Fäden um mich ist.</p>	<p>Then bending from the Sky - With infinite Affection - And infiniter Care - Her Golden finger on Her lip - Wills Silence - Everywhere -</p>	<p>Pour ma mère en mon cœur Que dans le monde entier Et bien plus de baisers Pour ma mère en mon cœur Qu'on ne pourrait en donner</p>
--	---	---	---	---

მონოლოგი No. 6

რა უცნაურია... „წმინდა წერილში“ არ ყოფილა თურმე აღწერილი სცენა, რომელშიც მარიამ ღვთისმშობელი კალთაში ჩასვენებული შვილის ცხედარს დასტირის. გერმანელ მისტიკოს ბერებს შეუქმნიათ ეს სახე შუა საუკუნეებში. Ich nam min zartes Kind uf min sehoze und sach in an — do was es tot'... „ჩავისვი კალთაში ჩემი ნაზი ბავშვი და დავხედე მას - მაგრამ ის მკვდარი იყო“... ასე გაახმოვანა Mater Dolorosa მე-14 საუკუნეში გერმანელმა დომინიკელმა ბერმა ჰენრი სუზომ. ხომ ჩაგწყდათ გული? ხომ მოგადგათ ცრემლი თვალებზე? ჰოდა, როგორ შეიძლებოდა ეს სახე ხელოვანებს არ აეტაცათ?

იღებს ტელეფონს. ეკრანზე ჩნდება თარიღი: Sun, February 14. 20:20. googl-ავს - Vesperbild. თან აგრძელებს მონოლოგს, თან ეკრანზე გამოაქვს სხვადასხვა Vesperbild-ები.

მე-14 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული სამხრეთ გერმანიის ეკლესიებში იდგმება Vesperbild-ები - ხის ქანდაკებები, რომლებიც ღვთისმშობელსა და მის კალთაში ჩასვენებულ მაცხოვარს გამოსახავენ. განსაკუთრებით დამაფიქრა სახელწოდებამ. Vesper - მწუხრია, Vesperbild-ი კი მისი ხატი გამოდის. ვესპერბილდი მწუხრის ლოცვების, განსაკუთრებით დიდი პარასკევის განუყოფელ ელემენტად აღიქმებოდა. ქანდაკებები, რომლებიც შუა საუკუნეებისთვის უპრეცედენტო რეალისტურობით გამოხატავდნენ იესოს ხორციელ და ღვთისმშობლის სულიერ ტანჯვას, მორწმუნეებში ემპათიას იწვევდნენ და თითქოს მოუწოდებდნენ მათ, ეფიქრათ ნაწამებ ქრისტესა და მის უკიდევანოდ სევდიან მშობელზე. ანუ, ქანდაკებების ჭკრეტა -

„ქრისტიანული ლექსიკონის“ მიხედვით, „დიდხანს ღრმა აღტაცებითა და დაფიქრებით ცქერა“ - ლოცვის ტოლფასი თუ არა, თანაზიარი მაინც ხდებოდა...

ვესპერბილდები ჯერ საფრანგეთში გავრცელდა, ოღონდ ფრანგმა მოქანდაკეებმა მნიშვნელოვნად შეარბილეს ულმოზღად რეალისტური გერმანული ფერები; 1400 წლისთვის კი ხატებამ მგლოვიარე დედისა, კლათაში ჩასვენებული შვილის ცხედარს რომ დასცქერის, იტალიაში ჩააღწია, რათა pietà-დ (ანუ თანაგრძნობად) სახელცვლილი 1498 წელს მიქელანჯელოს შთაგონების წყაროდ ქცეულიყო... (ეკრანზე გამოაქვს მიქელანჯელოს „პიეტა“)

მიქელანჯელოს „პიეტა“ რომ არ მენახა და არ შემეგრძნო, ვესპერბილდებს არც გავეცნობოდი ალბათ ასე ახლოს. ყველა დროის უდიდეს „პიეტაში“, ცოტა არ იყოს, ფრანგულ სტილში შერბილებულსა და გალამაზებულში, გაგიკვირდებათ და განსაკუთრებით იესოს უსიცოცხლოდ დაკიდებულმა მარჯვენა ხელმა დამატყვევა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, მარტო არ ვყოფილვარ. ბორგეზეს გალერეაში ხეტიალისას გავიგონე, როგორ უყვებოდა რაფაელის „ჯვრიდან გარდმობსნის“ წინ შეკრებილთ ერთი გიდი, როგორ იქცა მიქელანჯელოსეული იესოს ჩამოვარდნილი ხელი ჯერ რაფაელის, შემდეგ კი კარავაჯოს შთაგონების წყაროდ. მაგრამ მხოლოდ მერე გავიგე, რომ ეს ხატიც უსიცოცხლოდ ჩამოკიდებული ხელისა შუა საუკუნეების სამხრეთგერმანელი ხელოვანის გონებაში დაბადებულა... (ეკრანზე ჩნდება სხვა ვესპერბილდები)

ჩემი ულმოზღად რეალისტი და ფიქრის მოყვარული გერმანელები! რამდენად მაღალია თქვენი ულმოზღელი რეალობა! ხომ შევიგრძენი მიქელანჯელოს „პიეტა“, ხომ განვიმსჭვალე თანაგრძნობით, მაგრამ მხოლოდ დიდი პარასკევის მწუხრის ლოცვების მომლოდინე ხის ქანდაკებების ცქერისას, უკაცრავად, ჭვრეტისას დაფიქრდი ტკივილის არსზე.

დაფიქრდი ტკივილზეც და იმაზეც, რამდენად დიდია ხელოვნების შეგრძნებაში ფიქრის წილი...

ხელოვნების და ღმერთის.

პაუზა...

იციტ, როგორ გამოვიგონე ღმერთი?

ვოლტერს აქვს ნათქვამი: ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ თავად უნდა გამოგვეგონა იგიო... რვა წლის ვიყავი, რომ გამოვიგონე იგი.

საბჭოთა კავშირში დაბადებული ადამიანი ვარ. რვა წლის ასაკში უკვე წაკითხული მქონდა რამდენიმე მოთხრობა, რომლებშიც გამასახარებელი იყო ღმერთის არსებობის იდეა. ჩემი მშობლებიც ათეისტები იყვნენ მაშინ. ვერ ვიხსნებ ზუსტად, როდის გაჩნდა მისი გამოგონების იდეა, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ ვიდექი ზაფხულის ერთ მშვნიერ დღეს ზუგდიდის ბებიაჩემისეული სახლის კედელზე ჩამოკიდებული ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ წინ და ღმერთს ნატვრისთვლიან ბეჭედს

შევსთხოვდი. ალბათ ზღაპრებიდან მოვიდა იდეა, ღმერთისთვის მიმემართა. ზღაპრებში ხომ იგი ხშირად უსრულებდა ადამიანებს სურვილებს. ფეხითაც კი ჩამოივლიდა სოფლად ხოლმე და ებაასებოდა ხალხს. ზღაპრებიდან ვერ ამოაგდეს იგი კომუნისტებმა... ხატს მაშინ ვინ ჩამოკიდებდა სახლში?! ჰოდა, ლეონდარდო და ვინჩის სურათი შემრჩა ხელში, უფრო სწორედ, ამ შედეგურის იაფი რეპროდუქცია. რეპროდუქციების თვალთვლება საერთოდ ჩემი ჰობი იყო. სახლში უამრავი ალბომი გვექონდა. ეტყობა, ერთ-ერთ ალბომში ამოვიკითხე, რომ სურათის შუაში მჯდომი მამაკაცი იესო ქრისტე იყო - არაერთი ქართული ხალხური ზღაპრის გმირი. მახსოვს, როგორ გულწრფელად შევთხოვდი, ჩემთვის ნატურისთვლიანი ბეჭედი ეჩუქებინა. ჩემი ბიძაშვილებიც ავიყოლიე, დავაჯერე, თუ ვითხოვდით, იგი აუცილებლად შეისმენდა ჩვენს თხოვნას. სამი დღის განმავლობაში, დღეში რამდენჯერმე მივიდოდით ხოლმე სურათთან და ერთსა და იმავეს ვთხოვდით და თქვენ წარმოიდგინეთ, მეოთხე დღეს დიდ ოთახში შესულთ სურათის ქვეშ მდგარ სავარძელზე სამი ბეჭედი დაგვხდა...

მგონი, ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, არც მანამდე, და არც მერე...

რა თქმა უნდა, მალევე დავრწმუნდი, რომ ბეჭდები არ ასრულებდნენ ნატურებს. ორ დღეში ბიცოლამაც გაგვიმხილა, რომ მიაყურადა ჩვენს ლოცვებს და თავად დაგვიდო ბეჭდები. ცოტა გავწბილდი, ალბათ... კარგად არც მახსოვს.... მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ ამის შემდეგ ჩემ მიერ გამოგონილი ღმერთი ჩემთან დარჩა, სამუდამოდ. ის ჩემს ნატურისთვლად იქცა - თუ რამე ძალიან, ძალიან მომინდა, დღესაც, რატომღაც, რვა წლის ბავშვივით მჯერა, ვთხოვ და ნატურა აუცილებლად ამისრულდება...

ჰმ...

პაუზა...

იმ დილით გავხსენი Facebook და BBC-ს გვერდზე უმძიმესი ამბავი წავიკითხე. ღაზას სექტორის დაბომბვისას დაიღუპა ექიმ აიძან აბუ ალ-ოუფის 12 კაციანი ოჯახი, მათ შორის თავად ექიმი, მისი მშობლები, მეუღლე და ორი შვილი. ნანგრევებში მოყოლილი აიძანი 6 საათი კიდევ ცოცხალი იყო თურმე. ვერ მოასწრეს ამოყვანა...

ეს არაჩვეულებრივი ექიმი განაგებდა თურმე ღაზას სექტორში კოვიდ-19-ს პანდემიურ სიტუაციას. არ ზოგავდა თავს... არაერთი ადამიანი გადაურჩენია. მისი სიკვდილი კატასტროფის ტოლფასია მთელი სექტორისთვის.

გეფიცებით, ვიტყვით, ამ უსამართლობაზე... არა, უსამართლობებზე... მერე კი რატომღაც გამახსენდა ჩემი სტუდენტი, რომელმაც სულ ახლახანს ბაკალავრიატი ჩემი ხელმძღვანელობით დაამთავრა.

გამოცდის დღეს დაკვრის წინ განსაკუთრებით ღელავდა. გამახსენდა ჩემი კოლეგის მონაყოლი, როგორ დადიოდნენ მოსკოვის კონსერვატორიაში საბჭოთა კოსმონავტიკის წარმომადგენლები და იკვლევდნენ მუსიკოსებს სცენაზე გასვლის წინ. თურმე,

სცენაზე გასვლისას დაახლოებით ისეთივე პროცესები ხდება ორგანიზმში, როგორც ღია კოსმოსში გასვლისას... და ორივე მდგომარეობა უახლოვდება წინასაინფარქტო მდგომარეობას...

მღელვარე გოგო სცენაზე რომ გავუშვი, მგონი მართლა კოსმოსური ხომალდის ლუკის კარებთან ვიდექი. გამახსენდა ჩემი თავი ორლენის საფორტეპიანო საერთაშორისო კონკურსზე... სცენაზე გასვლის წინ, სარეპეტიციო ოთახიდან დარბაზისკენ მიმავალი კიბეებზე ჩამოვდიოდი და ღმერთს ვეხვეწებოდი, წავქცეულიყავი და ფეხი მომეტეხა. კიდეც კარგი, ყოველთვის არ შეისმენს ხოლმე ჩვენს ლოცვებს. იმ კონკურსზე არათუ ფეხი არ მოვიტეხე, მეორე პრემია ავიღე. არც ინფარქტმა დამარტყა... არადა, მეგონა, დამარტყამდა...

ჩემს სტუდენტს რომ ვუყურებდი, მივხვდი, რომ ასეთ მდგომარეობაში სცენაზე გასვლა და დაკვრა გმირობის ტოლფასია. და ჩვენ, მუსიკოსები, ყველანი პატარა გმირები ვართ, იმ ახალგაზრდა გოგოს თამაღობით... ასეთ ვითარებაში რომ შეძლო მაინც დაკვრა და გამოცდის ჩაბარება!..

და მერე ეს წავიკითხე, ამბავი პალესტინელი ექიმისა, სამშობლო რომ არ დატოვა, პასუხისმგებლობას რომ არ გაექცა და მთელი ოჯახით რომ შეეწირა ამ უაზრო და სასტიკ ომს, ათწლეულებია რომ არ წყდება... არადა ეპატიჟებოდნენ საზღვარგარეთო, დასტიროდა ემიგრაციაში წასული კოლეგა. ჯერ ვიტირე, და მერე მაღლობა გადავუხადე ღმერთს იმისთვის, რომ ჩემი სტუდენტების სცენაზე გასვლის წინ მღელვარება ღია კოსმოსში გასვლად მეჩვენება და სცენაზე დაკვრა გმირობა მგონია... და თან ვინ იცის მერამდენედ დავუსვი ყოველგვარ აზრს მოკლებული, გულუბრყვილო კითხვა... აი რატომ? რატომ ასეთი ადამიანი? ასეთი ოჯახი? მთელი ოჯახი???

განა არ ვიცი, რომ სისულელეს გეკითხები?! მაგრამ შენ დამიფარე იმისგან, რომ ყველაფერი ეს ჩვეულებრივ ამბად მივიღო და კითხვებიც აღარ დავსვა!..

პაუზა...

ოლგა ტოკარჩუკის ერთ-ერთი რომანის მთავარ გმირს უილიამ ბლეიკი უყვარს და ბლეიკის ერთ ლექსს ციტირებს:

Every Night and every Morn
Some to Misery are Born.
Every Morn and every Night
Some are Born to sweet delight.
Some are Born to sweet delight,
Some are Born to Endless Night.

გმირი კითხულობს, როგორ უნდა ითარგმნოს ბლექის ყველაზე ცნობილი ლექსი პოლონურად ისე, რომ საბავშვო ლექსის რიტმი არ დაიკარგოსო. მართლა ისე ჟღერს, თავისუფლად შეიძლება ბავშვებმა გამოიყენონ გათვლისას.

ჰოდა, როგორ ვთარგმნო ქართულად საბავშვო სათვალავის რიტმში გახვეული სევდის მომგვრელი... არა, გულის განგმირავი ჭეშმარიტება? როგორ იზადება ზოგი ტანჯვისთვის, ზოგი სიამოვნებისთვის, ზოგი კი... მარადიული ღამისთვის...

აი, ვიხსენებს ახლა ჩემს ტკივილებს და უკიდევანოდ მრცხვენია მათი, ვინც განგებამ ღამისთვის გასწირა...

პაუზა...

ერთადერთი წევრი გადარჩა იმ ოჯახის. 15 წლის ომარი. საავადმყოფოში წევს და ჯერ არ იცის, რა მოუვიდა მთელს ოჯახს... აი ხომ უნდა ადგეს ახლა და იცხოვროს! ესაა გმირობა!..

ამიტომ, ჩვენც ვალდებულნი ვართ, რაც არ უნდა მოხდეს, რაღაც ეტაპზე ჩვენი ხომალდის ლუკის კარი გავაღოთ, ერთი ნაბიჯი წინ გადავდგათ და ღია კოსმოსში გადავეშვათ...

მერე შენ თუ გვიშველი, შენ თუ დაგვიფარავ... შენ, რომელიც ხარ ცათა შინა...

... რომელი ხარ ცათა შინა?!

პოლიფონიური ლექსი No. 6

(ფსალმუნი No. 21 (22))

უხილავი ქორო

<p>სოპრანო <i>Lento, p<mp</i></p> <p>My God, my God, why hast thou forsaken me? why art thou so far from helping me, and from the words of my roaring?</p>	<p>ალტი <i>Largo, p<mp</i></p> <p>ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; რაფსათვს დამიტევე მე? შორს არიან ცხორებისა ჩემისაგან სიტყუანი ბრალთა ჩემთანი. ღმერთო ჩემო, დღისი ჰმა-ვყავ შენდამი და არა ისმინე ჩემი; და ღამე არა იღუაწე ჩემთვს. ხოლო შენ წმიდასა შინა დამკვდრებულ ხარ ქებული ეგე ისრაჴლისაჲ. შენ გესვიდეს მამანი ჩუენნი, გესვიდეს შენ და იცხნენ იგინი;</p>	<p>ტენორი <i>Adagio, pp<p</i></p>	<p>ბანი <i>Andante, pp<p</i></p>
---	--	--	---

<p>I am poured out like water, and all my bones are out of joint: my heart is like wax; it is melted in the midst of my bowels.</p> <p>My strength is dried up like a potsherd; and my tongue cleaveth to my jaws; and thou hast brought me into the dust of death.</p> <p>For dogs have compassed me: the assembly of the wicked have inclosed me: they pierced my hands and my feet.</p> <p>I may tell all my bones: they look and stare upon me.</p> <p>They part my garments among them, and cast lots upon my vesture.</p> <p>But be not thou far from me, O LORD: O my strength, haste thee to help me.</p> <p>Deliver my soul from the sword; my darling from the power of the dog.</p> <p>Save me from the lion's mouth: for thou hast heard me from the horns of the unicorns.</p> <p>I will declare thy name unto my brethren: in the midst of the congregation will I praise thee.</p> <p>Ye that fear the LORD, praise him; all ye the seed of Jacob, glorify him; and fear him, all ye the seed of Israel.</p> <p>For he hath not despised nor abhorred the affliction of the afflicted; neither hath he hid his</p>	<p>განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუარტას ჩემსა ზედა განიგდეს წილი.</p> <p>ხოლო შენ, უფალო, ნუ განმაშორებ შეწვევნასა შენსა ჩემგან და ჯელის აპყრობად ჩემდა მომხედენ;</p> <p>იკსენ მახჯლისაგან სული ჩემი და ჯელთაგან მადლთასა მხოლოდშობილებად ჩემი;</p> <p>მიკსენ მე პირისაგან ლომისა და რქათაგან მარტორქისათა - სიმდაბლე ჩემი;</p> <p>მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის ეკლესიასა გიგალობდე შენ.</p> <p>მოშიშნი უფლისანი აქებდით მას და ყოველი ნათესავი იაკობისი ადიდებდით მას;</p> <p>ემიწოდენ მისგან ყოველსა ნათესავსა ისრაელისასა, რამეთუ არა შეურაცხ-ყო, არცა მოიწყინა ლოცვა გლახაკისა, არცა გარემიაქცია პირი მისი ჩემგან და ხადილსა ჩემსა მისა მიმართ ისმინა ჩემი.</p> <p>შენ მიერ არს ქება ჩემი ეკლესიასა შინა დიდსა; აღგიარო შენ, აღთქუმანი ჩემნი აღვასრულნე წინაშე მოშიშთა მისთა.</p> <p>ჭამონ დავრდომილთა და განძღვენ და აქებდენ უფალსა მეძიებელნი მისნი, ცხონდენ გულნი მათნი უკუნითი უკუნისამდე.</p> <p>მოიკსენონ და მოიქცენ უფლისა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი და თაყუანის-სცენ წინაშე მისსა ყოველთა ტომთა თესლებისათა;</p> <p>რამეთუ უფლისაჲ არს სუფევა და იგი მეუფებს ყოველთა ზედა წარმართთა.</p>	<p>Sei mir nicht fern, denn die Not ist nahe / und niemand ist da, der hilft.</p> <p>Viele Stiere umgeben mich, / Büffel von Baschan umringen mich.</p> <p>Sie sperren gegen mich ihren Rachen auf, / reißende, brüllende Löwen.</p> <p>Ich bin hingeschüttet wie Wasser, / gelöst haben sich all meine Glieder. / Mein Herz ist in meinem Leib wie Wachs zerflossen.</p> <p>Meine Kehle ist trocken wie eine Scherbe, / die Zunge klebt mir am Gaumen, / du legst mich in den Staub des Todes.</p> <p>Viele Hunde umlagern mich, / eine Rotte von Bösen umkreist mich. / Sie durchbohren mir Hände und Füße.</p> <p>Man kann all meine Knochen zählen; / sie gaffen und weiden sich an mi</p> <p>Sie verteilen unter sich meine Kleider / und werfen das Los um mein Gewand.</p> <p>Du aber, Herr, halte dich nicht fern! / Du, meine Stärke, eil mir zu Hilfe!</p> <p>Entreiß mein Leben dem Schwert, / mein einziges Gut aus der Gewalt der Hun</p> <p>Rette mich vor dem Rachen des Löwen, / vor den Hörnern der Büffel rette mich Armen!</p> <p>Ich will deinen Namen meinen Brüdern verkünden, / inmitten der Gemeinde dich preisen.</p>	<p>יְבֹשׁ כְּחֶרֶשׁ חָיִי וְשִׁוּי מִדְּבַק מִלְּקוּחֵי וְלַעֲפָר־מוֹת תִּשְׁפָּתַי כִּי־סִבְבוּנִי כְּלָבִים עֵדֶת מַרְעִים הַקִּיפוּנִי כְּאֲרֵי יְדֵי וְרִגְלֵי אֶסְפֹּר כָּל־עֲצָמוֹתַי הֵמָּה בְּיָטוּ: וְרֵאוּ־בִי יְחַלְקוּ בְּגָדֵי לָהֶם וְעַל־לְבוּשֵׁי יַפְּיִלוּ גֹרְלִי וְאַתָּה יְהוָה אֱלֹהֵי תַרְחֻק אֲיִלוֹתַי לַעֲזָרְתִּי חַוֵּה הִצִּילָה מִחֶרֶב נַפְשִׁי מִיַּד־לָב וְיָחִידְתִּי הוֹשִׁיעֵנִי מִפִּי אֲרִיָּה וּמִקֶּרְנֵי רִמִּים עֲנִיתַי אֶסְפֹּרָה שִׁמְךָ לְאַחֵי בְּתוֹךְ קֹהֵל אֲהַלְלֶךָ יְרֵאִי יְהוָה הִלְלוּהוּ כָּל־זֶרַע יַעֲקֹב כִּבְדוּהוּ וְגִירוּ מִמֶּנּוּ כָּל־זֶרַע יִשְׂרָאֵל כִּי לֹא־בָזָה וְלֹא שָׁקַץ עֲנוּת עֲבָדָיו וְלֹא־ הִסְתִּיר פָּנָיו מִמֶּנּוּ וּבִשְׂעוֹ אֱלֹהֵי שָׁמַע מֵאַתָּה תִּהְיֶה תִּבְקָה לְגִבּוֹרֵי אֲשֶׁלֶם גָּדְדִי יְרֵאִי יֵאָכְלוּ עֲבוּרִים וְיִשְׂבְּעוּ יְהִלְלוּ יְהוָה דְּרָשׁוּ יְחִי לְבַבְכֶם לַעֲד יִזְכְּרוּ וְיִשְׁבּוּ אֶל־יְהוָה כָּל־אֶפְסֵי־אָרֶץ וְיִשְׁתַּחֲווּ לְפָנָי כָּל־מִשְׁפְּחוֹת גּוֹיִם כִּי לַיהוָה הַמְּלוּכָה וְמוֹשֵׁל בְּגּוֹיִם אֲכָלוּ וְיִשְׁתַּחֲווּ כָּל־דֹּשְׁנֵי־אָרֶץ לִפְנֵי יְכָרְעוּ כָּל־יִוְרָדֵי עֶפְרָי וְנִפְשׁוּ לֹא חֵיָּה זֶרַע יַעֲבֹדְנוּ יִסְפֹּר לְאֲדָנָי לְדוֹר יָבֹאוּ וְיִגִּידוּ צְדָקָתְךָ לְעַם נֹלָד כִּי עָשָׂה</p>
---	--	--	--

<p>face from him; but when he cried unto him, he heard. My praise shall be of thee in the great congregation: I will pay my vows before them that fear him. The meek shall eat and be satisfied: they shall praise the LORD that seek him: your heart shall live for ever. All the ends of the world shall remember and turn unto the LORD: and all the kindreds of the nations shall worship before thee. For the kingdom is the LORD's: and he is the governor among the nations. All they that be fat upon earth shall eat and worship: all they that go down to the dust shall bow before him: and none can keep alive his own soul. A seed shall serve him; it shall be accounted to the LORD for a generation. They shall come, and shall declare his righteousness unto a people that shall be born, that he hath done this.</p>	<p>ჭამეს და თაყვანი-სცეს ყოველთა პოხილთა ქუეყანისათა; მის წინაშე დაცვოდინ ყოველნი, რომელნი შთავლენენ მიწად. და სული ჩემი მისა ცხოველ არს და ნათესავმან ჩემმან ჰმონოს მას; ეუწყოს უფალსა ნათესავი მომავალი. და უთხრობდენ სიმართლესა მისსა ერსა მას შობადსა, რომელ ქმნა უფალმან.</p>	<p>Die ihr den Herrn fürchtet, preist ihn, / ihr alle vom Stamm Jakobs, rühmt ihn; / erschauert alle vor ihm, ihr Nachkommen Israels! Denn er hat nicht verachtet, / nicht verabscheut das Elend des Armen. Er verbirgt sein Gesicht nicht vor ihm; / er hat auf sein Schreien gehört. Deine Treue preise ich in großer Gemeinde; / ich erfülle meine Gelübde vor denen, die Gott fürchten. Die Armen sollen essen und sich sättigen; / den Herrn sollen preisen, die ihn suchen. / Aufleben soll euer Herz für immer. Alle Enden der Erde sollen daran denken / und werden umkehren zum Herrn: / Vor ihm werfen sich alle Stämme der Völker nieder. Denn der Herr regiert als König; / er herrscht über die Völker. Vor ihm allein sollen niederfallen die Mächtigen der Erde, / vor ihm sich alle niederwerfen, die in der Erde ruhen. [Meine Seele, sie lebt für ihn; / mein Stamm wird ihm dienen.] Vom Herrn wird man dem künftigen Geschlecht erzählen, / seine Heilstat verkündet man dem kommenden Volk; / denn er hat das Werk getan.</p>	
--	---	--	--

იღებს ხელში ტელეფონს. ეკრანზე იწერება თარიღი: Wed, April 21, 21:14. იწყებს თამაშს Candy Crush... მონოლოგს კითხულობს თამაშის ფონზე...

მონოლოგი No. 7

როცა რაღაცაზე ფიქრით გადავიღლები, Candy Crush-ით ვერთობი.

რაღაცნაირად ასვენებს ტვინს... ცხოვრებასავით არაა? ხან მიქრიხარ ლეველიდან ლეველზე, ხან კი იჭედები... ერთხელ მახსოვს, Candy-ს რომელიღაც დონეზე ორი თვე ვიყავი გაჩერებული. კინალამ გავიყიდი.

ხან არ გაწუხებს, მიუყვები ლეველებს სრულიად რელაქსირებული. რომ გაიჭედები, რაღაც მომენტში მაქსიმალურად დაბავ ტვინს, ცდილობ, ჭკვიანურად გათვალო სვლები და არაფერი. ჭადრაკს კი არ გავს - შენზე ძალიან ცოტა რამაა დამოკიდებული. მერე მოგბეზრდება, არ გაღელვებს და... ჰოი, საოცრება! არც კი უფიქრდები სვლებს და თავისთავად იგებ.

სულ ვფიქრობ, ვინ ან რა აკონტროლებს, რა ფიგურები ამოვარდება? პროგრამირების საფუძვლებს არ ვიცნობ, მაგრამ ეჭვი მაქვს, მათემატიკის, ლოგიკისა და შემთხვევითობის ნაზავია ეს ყველაფერი.

ხანდახან მინდა, რაღაც კანონზომიერებები აღმოვაჩინო, მაგრამ ვერა... ერთადერთ დასკვნამდე მივედი მარტო! ძალიან თუ გაჯიქდი და ბოლომდე მიაწექი, ყველაზე გაჭედილ ლეველსაც კი გადალახავ. ხან მაშინ, როცა ძალიან გინდა და მოინდომებ, ხან კი ისეთ დროს, როცა ბოლომდე დაიკიდებ... ზუსტად ისე, როგორც ცხოვრებაში!

პაუზა...

ერთ მშვენიერ დილას, ყავის სმისას, შემთხვევით შემომეცქირა ფრაგმენტი ანიმაციური ფილმიდან „კუნგ-ფუ პანდა“, რომელშიც ბრძენი კუ უგვეი ოსტატ შიფუს უმტკიცებდა, რომ შემთხვევითობა შემთხვევითი როდია. იმავე დღეს, შუადღეს, ვიჯექი მათემატიკოსის წინ და ვთხოვდი, მარტივად აეხსნა ჩემთვის, რას წარმოადგენს ალბათობის თეორია. შეხვედრის მიზეზი „კუნგ-ფუ პანდა“ არ ყოფილა. პარალელს ვავლებდით მუსიკასა და მათემატიკას შორის...

ამიხსნა და მივხვდი, რომ ალბათობის თეორია სწავლობს შემთხვევითობასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს, ოღონდ, ეს კანონზომიერებები იჩენს თავს მხოლოდ დიდ რიცხვებთან მიმართებაში. ანუ, თუ ააგდებ კამათელს (რაც შემთხვევითობის ყველაზე ტიპური გამოვლენაა) ათჯერ, ვერ დაადგენ კანონზომიერებას, მაგრამ თუ ააგდებ ორმოცი ათასჯერ (თუ ცდათა რიცხვი არის დიდი და მიისწრაფვის უსასრულობისკენო, - ასე ლამაზად მითხრა მათემატიკოსმა), შესაძლებელი ხდება კანონზომიერების აღმოჩენა. (თავს ანებებს თამაშს)

ჩემს ცხოვრებაში მომხდარ შემთხვევითობებზე დაყრდნობით ვერაფერსაც ვერ მიხვდები, მაგრამ ორმოცი ათასი ადამიანის ცხოვრებას თუ შეისწავლი, შემთხვევითობების კუთხით, მიდიხარ დასკვნამდე, რომ შემთხვევითობა შემთხვევითი როდია, და ის შეფასებადი და პროგნოზირებადია...

ეს რომ გავიგე, შეგრძნება გამიჩნდა, რომ მას ხელით შევეხე...

პაუზა

წერდა კარლჰაინც შტოკჰაუზენი - ჩენი დროის გერმანელი კომპოზიტორი - რომ სამყაროში არსებობს იდეალური წყობა, და მუსიკის დანიშნულება ამ წყობის მუსიკაში განხორციელება არისო. ამიტომ პოულობდა „მუსიკის აწყობის“ (და არა შექმნის) განსხვავებულ, ვიდაცეებისთვის ზედმეტად რაციონალურ გზებს. რომ დასცინოდნენ, მშვიდად პასუხობდა: ვინ ხედავს ატომებს? მაგრამ ყველამ იცის, რომ მათ სტრუქტურაზეა დამოკიდებული ყოველგვარი მატერიაო... ჰოდა, ამ აწყობისას შემთხვევითობას თუ დაუშვებდა (არადა უშვებდა) , მაშინაც იცოდა, ეტყობა, რომ ეს შემთხვევითობა იმ წყობის ნაწილი იყო...

არ ვიცი, რატომ არ ვიცოდი იმ დღემდე ზუსტად, რას წარმოადენს ალბათობის თეორია. შემთხვევითი არც ესაა, ალბათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც გავიგე, დავდივარ შეგრძნებით, რომ საყაროში არსებულ იდეალურ წყობას შევეხე ხელით... და პირველად ჩემმა წარმოსახვამ დამიხატა ღმერთის შესაძლო სახე - სრულყოფილი, ყოვლისმომცველი წყობა, რომელიც გვირეცს გონებას შემთხვევითობებით...

პაუზა...

არადა როგორ გვინდა ხოლმე, გავაადამიანუროთ იგი... ღმერთი... ან გავაღმერთოთ ადამიანი...

ბრიტანეთის მუზეუმში გამოფენილია ბოდჰისატვა გუანინის ხისაგან დამზადებული ფიგურა. ბოდჰისატვა აღნიშნავს ადამიანს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალუმს ნირვანაში გადასვლა, თავს იკავებს ამის გაკეთებისგან.... ვინაიდან თანაუგრძნობს ტანჯულ არსებებს!

გუანინი გამორჩეული ბოდჰისატვა ყოფილა ჩინეთში. იგი საუკუნეებია რჩება ადამიანთა სამყაროში, რათა დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებულთ. გუანინს ესმის, თურმე, სამყაროს ტირილი და ამიტომაც მას დედა-ღმერთად ან მოწყალეების ქალღმერთადაც კი მოიხსენიებენ ხოლმე.

ბრიტანეთის მუზეუმში გამოფენილ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ღმერთების ქანდაკებებს შორის შესაძლოა არც შემენიშნა ღვთაებად ქცეული ბოდჰისატვა გუანინი, რომ არა....

„ჩინეთის დარბაზში“ შესვლისას ერთი აღმისავლური გარეგნობის ქალი შევნიშნე. აუდიოგიდი ჰქონდა კისერზე ჩამოკიდებული, ყურსასმენები ყურზე წამოცმული და.... მინის ყუთში ჩასმული ხის ქანდაკების წინაშე ლოცულობდა. თვალედახუჭულის ხელისგულები შეეერთებინა, თავს დაბლა ხრიდა და ჩუმად ლოცულობდა. იმდენად მოულოდნელი სურათი იყო, რომ გავკვავდი. მერე მობილური ამოვიღე და ამ სანახაობის დაფიქსირება გადავწყვიტე... და მერე შემრცხვა. ეს იმდენად ინტიმური მომენტი იყო, რომ ეს არაინტიმური გარემოც კი არ მაძლევდა უფლებას, დამეფიქსირებინა და შემდეგ საჯაროდ გამეზიარებინა იგი...

დაველოდე, როდის მორჩებოდა ლოცვას, მივუახლოვდი მინის ყუთს და წავიკითხე მოკლე ანოტაცია მასზე, რომელსაც ადამიანთა ტკივილი ესმის და რომელიც შეგნებულად რჩება ჩვენთან, რათა ეს ტკივილი შეგვიმსუბუქოს.

რა უზნეობაა ღვთაებების, ღმერთების, სამყაროს უძველესი და უდიდესი მბრძანებლების დიდი ტაძრებიდან, გნებავთ სამარხებიდან წამოღება და ოთახებში აი ასე ჩამწკრივება! ერთი, თუნდაც დიდი გალერეა, საოცრად ვიწროა რამდენიმე ასეული ღმერთისთვის. ყოველთვის მაწუხებდა ეს იდეა, მაგრამ გუანინის ფიგურის წინ მდგარმა პირველად გავიგონე ღმერთების ტკივილი, გუანინის ტკივილი.

შესაძლოა ღმერთებსაც ტკივათ და ვინ უნდა გაუგოს მათ, თუ არა ჩვენ, ტანჯულმა და ტკივილით აღსავსე არსებებმა?!

პოლიფონიური ლექსი No. 7

უხილავი ქორო

ალტი	<i>Andante, mf<f</i>	No worst, there is none. Pitched past pitch of grief, More pangs will, schooled at forepangs, wilder wring. Comforter, where, where is your comforting? Mary, mother of us, where is your relief? My cries heave, herds-long; huddle in a main, a chief Woe, wórl-d-sorrow; on an áge-old anvil wince and sing — Then lull, then leave off. Fury had shrieked 'No ling- ering! Let me be fell: force I must be brief.'
ალტი	<i>Andante moderato, mf</i>	‡ O the mind, mind has mountains; cliffs of fall frightful, sheer, no-man-fathomed. Hold them cheap may who ne'er hung there.
ტენორი	<i>Andante, mp</i>	‡ Schmerz ist ein Meister, der uns klein macht, ein Feuer, das uns ärmer brennt, das uns vom
ბანი	<i>Adagietto, mp</i>	ამ დღემაც ისე ჩაიარა უხმოდ, უბრალოდ, სულში დატოვა ღრმა იარა გაჰქრა უკვალოდ. ‡

ალტი	Nor does long our small durance deal with that steep or deep. Here! creep, wretch, under a comfort serves in a whirlwind: ჳ
ტენორი	eigenen Leben trennt, das uns umlodert und allein macht. ჳ Weisheit und Liebe werden klein, Trost wird und Hoffnung dünn und flüchtig;
ბანი	ჳ ვერ შეველიე საწუთროზე დღითი-დღე ჩივილს, წლები მიდიან ემატება ტკივილი ტკივილს.

ალტი	ჳ all life death does end and each day dies with sleep. ჳ
ტენორი	Schmerz liebt uns wild und eifersüchtig, wir schmelzen hin und werden Sein. Es krümmt die irdne Form, das Ich, und wehrt und sträubt
ბანი	გულში ჩამიქრა სიხარული გაჰქრა მზის სხივიც, სულის სიღრმეში ბინდისფერი ყორანი ყვივს.

ალტი	■
ტენორი	sich in den Flammen. ჳ Dann sinkt sie still in Staub zusammen und überläßt dem Meister sich.
ბანი	ჳ უფალო მიხსენ, კვლავ ამინთე გულში სანთელი და სულს მომფინე შორეული სივრცის ნათელი.

რომელი საათია, ნეტავ?... რა დრო გასულა?!

იღებს ხელში ტელეფონს... ევრანზე წერია თარიღი: Sun, November 21, 23:19

მონოლოგი No. 8

რატომღაც მგონია, რომ ყველაზე მეტს დროზე მუსიკოსები ვფიქრობთ. მუსიკა ხომ დროში განფენილი ხელოვნებაა და ჩვენს მთავარ ამოცანას დროის კონკრეტული მონაკვეთის შევსება წარმოადგენს. მე, პირადად, არასოდეს შევიგრძნობ დროს ისე სრულად, როგორც დაკვირვებულს. ეს ერთადერთი პროცესია, როდესაც მე შეგნებულად ვიაზრებ ყოველ წამს... წამს კი არა, წამის მეასედსაც და ამ დროს დრო ჩემთანაა, მე დროსთან ვარ და დრო ყველაზე ხელშესახები ხდება ჩემთვის.

დრო, რომელიც ადამიანთა სევდის უმთავრესი მიზეზია... წარმავლობა ხომ დროითი კატეგორიაა?! როცა დასაწყისშივე იცი, რომ დასასრულს ვერსად გაექცევი, სხვა რაღა დაგრჩენია?..

თუმცა, განსაკუთრებით გამაოგნა რეინკარნაციის სევდამ. „ბჰაგავატ გიტას“ გავეცანი. წარმავლობის სევდის საპირწონე აქ მუდმივობის სევდაა. ადამიანი წინასწარ განიცდის იმას, რომ დაუსრულებლად მოვა ამქვეყნად და ცდილობს რეინკარნაციათა წრიდან გამოსვლას. მე, პირადად, მთელი სხეულით შევიგრძენი მუდმივობის სევდა „გიტას“ კითხვისას...

და შემდეგ ვეწვიე იტალიას, რომს და ჩემთვის უპრეცედენტო ინტენსივობით შევეხე უკვდავებას, ჩამირულს დროში... დროში კი არა, დროებში... უხსოვარ დროებში... ვუყურებდი ამ ქანდაკებებს, სვეტებს, სახლთა, სასახლეთა და ტაძართა ნანგრევებს,

შეჭმულთ და ბოლომდე ვერშეჭმულთ დროთა მიერ, ვკითხულობდი, ვისმენდი ამ დროთა სიმრავლეზე... და პირველად ცხოვრებაში შევიგრძენი ქვადქცეული დრო... პირველად ცხოვრებაში ვიგრძენი, როგორ გაჩერდა დრო... როგორ დასრულდა იგი... ოლივიე მესიანს აქვს კვარტეტი „დროის დასასრულზე“. წინ უძღვის მას სიტყვები იოანეს გამოცხადებიდან:

„ვიხილე ზეცით ჩამომავალი სხვა ანგელოზი ძლიერი, რომელსაც ემოსა ღრუბელი; თავს ცისარტყელა ედგა და მისი სახე იყო როგორც მზე, ფეხები კი - როგორც ცეცხლის სვეტნი...“

ხოლო ანგელოზმა, რომელიც ვიხილე ზღვასა და ხმელზე მდგარი, თავისი ხელი აღაპრო ზეცად,

და დაიფიცა ცოცხალი უკუნითი უკუნისამდე, რომ უკვე აღარ იქნება დრო...

არამედ იმ დღეებში, როცა ხმას გაიღებს მეშვიდე ანგელოზი, როცა ის ჩაბერავს საყვირს, აღსრულდება ღმერთის საიდუმლო“...

„იოანეს გამოცხადება“ იგივე „აპოკალიფსი“ „ახალი აღთქმის“ ბოლო წიგნია, რომელიც გვამცნობს, მოგვითხრობს კაცობრიობის უკანასკნელ მოვლენებზე, ცივილიზაციის დასასრულზე; როგორ გაქრება ორდინალური რეალობა - დრო, რასაც ღმერთის საიდუმლოს აღსრულება - ყოველივეს ღმერთთან შეერთდება მოყვება...

ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ძალიან საინტერესო იყო დროის რეალობასთან, უდროობის კი - ღმერთთან გაიგივების იდეა. უდროობას მესიანი მარადისობად მოიხსენიებს; მარადისობად, რომელიც ღვთისმმეტყველი თომა აქვინელის სიტყვებით, „ჩაფიქრებულ იქნა ვითარცა ერთეული მუდმივად უცვლელი ყოფიერებისა.“

სწორედ მუსიკოსობის გამო გამიჭირდა მარადისობის შეგრძნება. თუმცა, ექვი მაქვს, არა მარტო დროში განფენილი ხელოვნების მოტრფიალე მუსიკოსებისთვის, არამედ ადამიანთა უმეტესობისთვის მარადისობა მხოლოდ თვალუწვდენელ სივრცეში განფენილი დროა. მაგრამ როგორც კი ხელი შევახე დროებში ჩაკარგულ ერთ-ერთ მარმარილოს სვეტს, მაშინვე შევიგრძენი, რას ნიშნავს მარადისობა. ჩემთვის უეცრად გაქრა დრო და რომის მთელი წარსული და მომავალი ამ მარმარილოს სვეტში გაერთიანდა. გაქრა დისტანცია ჩემსა და დროებში ჩაკარგულ ანონიმ მოქანდაკეებსა თუ წარსულისა და მომავლის რესტავრატორებს შორის და ჩვენ ერთ მთლიანობად ვიქეციით. ამ შეგრძნებას დიდი ხნის განმავლობაში ვეძებდი და სწორედ ამ შეგრძნების წყალობით პირველად ცხოვრებაში ხელოვნების სხვა დარგი დავაყენე მუსიკაზე მაღლა...

ღმერთო, თურმე როგორ დამღალა დრომ... როგორ მომინდა ყველა ჩემი წარსული და სამომავლო ტკივილისა და სიხარულის, ყველა ჩემი წარსული და მომავალი ცხოვრებების ერთჯამიერებაში შეგრძნება... ისე, რომ არც ტკივილს და არც სიხარულს არ დაუჭყვეს ეს აუტანელი სევდა წარმავლობისა... ნუთუ ეს ყოფილა მარადისობა? ნუთუ ეს ყოფილა უფალი? და ნუთუ, რაოდენ სევდისმომგვრელიც არ უნდა იყოს ეს ჩემთვის, უფალს არა მუსიკის შესრულებისას, არამედ ძველი რომის ნანგრევების ხელის შეხებისას შევეხე?..

თუმცა არა... ძალიან იშვიათად, მართლაც უკვდავი ნაწარმოებების სმენისას მე ვკარგავ დროის შეგრძნებას... დრო სულ ცოტა ხნით ჩერდება და ღვთიური ბუნების სასწაულის აღსრულების მოწმე ვხდები. უბრალოდ, მხოლოდ ახლა გავიაზრე, რაოდენ მნიშვნელოვანია დროის შეჩერება... რაოდენ აუცილებელია, დასრულდეს დრო...

ხანდახან მაინც... მანამ, სანამ დროის ტყვეობაში ვართ...

ისმის ტელეფონის მესიჯის ხმა... უყურებს ეკრანს...თარიღი: Sat, June 18. 23:26

ზოფრიენდ: „ჩავფრინდი, კარგად ვარ! როგორც კი სასტუმროში მივაღ, დაგირეკვავ.“

მონოლოგი No. 9

გკონიათ შემთხვევა, შეხვედრიხართ სრულიად უცნობს ქუჩაში, ან ტრანსპორტში, შეგიხედავთ და გიცვნიათ? ოღონდ სახეზე არა... აი რაღაცნაირად, შიგნიდან; სახე-უცნობი, ადამიანი კი - საშინლად ნაცნობი.

მე ეს სამჯერ დამემართა მხოლოდ. სამივე შემთხვევა მახსოვს. პირველად შემემინდა... მეორჯერ - არა; უკვე ვიცნობდი ამ შეგრძნებას. მეორე შემთხვევის შემდეგ დავინტერესდი რეინკარნაციის იდეით. იდეას მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ მასზე საერთოდ არ ვფიქრობდი. მაგრამ როდესაც ასე მწარედ შეიგრძნობ სრულიად უცნობ ადამიანს, სულის მიერ განსხვავებული ფიზიკური სხეულების მოცვლის იდეა, არაერთ კულტურაში დამკვიდრებული, ამ აუხსნელი ფენომენის ერთადერთ ახსნად გესახება...

მესამედ შეგრძნება 2019 წლის 24 ნოემბერს, ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმის ძველევგვიპტური კოლექციის თვალიერებისას მეწვია... „გებელეინის მამაკაცის“ ბუნებრივი მუმიის თვალიერებისას. ქრისტეს შობამდე დაახლოებით 3500 წელს დაუმარხავთ სავარაუდოდ 18-21 წლის ბიჭი უძველეს ქალაქ გებელეინის სასაფლაოზე, ტილოში გახვეული, წელში მოხრილ მდგომარეობაში... მშრალმა და ცხელმა ქვიშამ გაახმო სხეული და ბუნებრივ მუმიად აქცია. 1896 წელს რომ ამოთხარეს, იმდენად კარგად იყო შენახული, ტვინის, ფილტვებისა და თირკმელების იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი. 1900 წელს ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა და მას შემდეგ განისვენებს შემინულ კარადაში, წელში მოხრილ მდგომარეობაში... აუტოფსიაც ჩაუტარეს. მარცხენა მხარში ჩაურტყავთ თურმე მჭრელი საგანი. დაუზიანებიათ მხრის ფირფიტა და ნეკნი, გაუხვრიტიათ ფილტვი... სავარაუდოდ, გებელეინის მამაკაცი თავისი დროის მსხვერპლიაო, ეწერა კარადის კუთხეში მიმაგრებულ დაფაზე. იქვე იდგას აუტოფსიის დიგიტალური მაგიდა. სურვილის შემთხვევაში შეგიძლია თავად გაკვეთო ვირტუალური ხელსაწყოებით ვირტუალური გებელეინელი და დაათვალიერო მისი ვირტუალური შინაგანი ორგანოები.

ვერ გავკვეთე. არავირტუალურ მუმიას რომ ვუყურებდი, წელში მოხრილს, აი მაშინ გამიჩნდა ის შეგრძნება... რომ ვიცნობდი. მომეჩვენა, რომ მარცხენა მხარში ტკივილი ვიგრძენი, ძალიან ნაცნობი. საშინლად მეხამუშა, რომ ასე იწვა, ასეთ პოზაში, საჯაროდ გამოფენილი. აი „გაკვეთა“ რომ დავიწყე, შეგრძნება დამეუფლა, რომ საკუთარ თავს ვკვეთდი და გავჩერდი... მაშინ გამიელვა თავში სრულიად ფანტასმაგორიულმა იდეამ.

წარმოიდგინეთ, ხომ შეიძლება... აი, თუ არსებობს იმის შანსი, რომ ჩვენი სულები ათასწლეულების განმავლობაში დაბორიალობენ ამ ქვეყანაზე და იცვლიან სხეულებს ისე, როგორც ტანისამოსს... ხომ არსებობს სულ მცირე, თუნდაც თეორიული შანსი იმისა, რომ

ბრიტანეთის მუზეუმში სეირნობისას შეიძლება საკუთარ სხეულს გადაეყარო. ერთ-ერთს... ეგვიპტის მწველმა მზემ და ცხელმა ქვიშამ რომ შემოგინახეს ისეთს...

რა საოცარი სახეა... ადამიანები, მუზეუმები, წარსულიდან შემონახული ნივთები, მათ შორის მუმიები, რომლებიც ოდესღაც შეიძლება რომელიმე დამთვალიერებელს ეკუთვნოდა... დავდივართ ასე და ვათვალიერებთ საკუთარ თავებსა და ცხოვრებებს ისე, რომ ვერც კი ვხვდებით... და სწორედ იმ წუთს, აი ამის გააზრებისას ერთდროულად შემომიტია ორმა სევდამ... წარმავლობისამ და მუდმივობისამ. ამ ორ სევდას შორის გამომწყვდეული რატომღაც წელში მოვიხარე და თან გავიფიქრე: ნუთუ სევდაა არსებობის არსი? ნუთუ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გავექცევით მას? ან რატომ ვევლინებით დედამიწას მხოლოდ ერთხელ? ან რატომ დავწოწილობთ უკვდავებისგან დაღლილნი ათასწლეულებში? ან რატომ ვსვამთ განსხვავებულ და იმავდროულად ერთნაირ კითხვებს ისევ და ისევ? ან რატომ არავინ იძლევა პასუხს?

ვეძებთ რამეს? ვინმეს?

საოცარი სახეა... და თან საშიში.

სჯობს, დავიჯერო, რომ მდიდარი წარმოსახვის ადამიანი ვარ და ცხოვრებაში წაკითხული და განცდილი უბრალოდ ისე ირევა თავში, რომ ფანტასმაგორიულ სახეებს ბადებს. სჯობს, ირგვლივ განფენილი სამყარო მარტივ მამრავლებად დავშალო და ჩემთვის საინტერესო მამრავლებით დავტკბე. სჯობს... კიდევ ბევრი რამ სჯობს... ეს გავიფიქრე, წელში გავიმართე და ქრისტეს შობამდე მეოთხე ათასწლეულში ძველი ეგვიპტის ცხელ ქვიშაში ჩამარხულ, წელში მოხრილ გებელეინელს სურათი გადავუღე.

რთავს ტელეფონს. თარიღი: Sat, June 18. 25:41. ეძებს გალერეაში, პოულობს ამ სურათს და გამოაქვს ეკრანზე. დაჰყურებს...

ჰოდა, მას შემდეგ დავდივარ ასე, წელში გამართული და გამარტივებული ...

მაგრამ ხომ ვიცი... ვიცი, რომ ყველანი ვეძებთ...

ვის? რას?

პაუზა...

ბოლო ხანებში სულ ვფიქრობ ერთ რამეზე... შვილი ბოლომდე არა, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად გშველის, თავში შემობორიალებული სულელური, ან არც თუ მთლად სულელური აზრების გამკლავებაში... ხომ ხვდებით, რა აზრებზეა საუბარი... სადღაც ამოვიკითხე ერთხელ: ჯერ კიდევ ძველბერძნებმა დაადგინეს, რომ ადამიანმა მთელი სულიერი კულტურა იმიტომ შექმნა, რომ ან გაექცოდა ცხოვრების აზრის ძიებასა და სიკვდილის გარდაუვალობაზე ფიქრს, ან კი ეპოვა ცხოვრების აზრი და მომზადებულიყო სიკვდილისთვის. ასეა თუ ისე, მთელი კულტურა, თავისი ხელოვნებით, მეცნიერებით, რელიგიებით სიკვდილის იდეის დაძლევის, წარმავლობის შეგრძნებასთან გამკლავების მცდელობაა...

პოლიფონიური ლექსი No. 8 (მუსიკა ჟღერს გამაძლიერებლებში. იწყება ჩუმი და დინამილა თანდათან მატულობს)

ოლივიე მესიანი. „კვარტეტი დროის დასასრულზე“. V ნაწილი “Louange à l'Éternité de Jésus” ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის

პაუზა...

ჟღერს სოლო ჩელო. ფორტეპიანოს აკორდების შემოსვლასთან ერთად მსახიობი იწყებს საუბარს... აქედან მოყოლებული, ის უნდა შეეცადოს, დაასრულოს დასკვნითი მონოლოგი მუსიკის ფონზე, თან ისე, რომ ისაუბროს მუსიკასთან ანსამბლში - მაგალითად, შეეცადოს დაამთხვიოს რაიმე აზრის დასაწყისი მუსიკალური ფრაზის დასაწყისს, აყვეს მუსიკას ჟღერადობის მომატებასა და მოკლებისას, ან პირიქით, დაუპირისპირდეს დინამიკურ ცვლილებებს, მისცეს მუსიკას საშუალება, ხანდახან გადაფაროს სიტყვები და ა.შ.

მე თუ მკითხავთ, შვილიც ესაა... წარმავლობის შეგრძნებასთან გამკლავების მცდელობა... სიყვარული იმდენად დიდია, რომ ნაკლები სივრცე გრჩება, ნაკლები დრო ამაზე საფიქრელად. და როდესაც უშვილოდ რჩები, ყველა კითხვა, რაც კი საუკუნეების მანძილზე სულიერი კულტურის წიაღში დასმულა, ერთად იყრის თავს შენს თავში... არა, განა შვილიანებს არ ებადებათ ეს კითხვები, მაგრამ უშვილოები სულ მარტონი ვრჩებით მათთან ბრძოლაში... რომ მოერიო, დიდი სიყვარულია საჭირო... ბევრი სიყვარულია საჭირო... მუსიკის, პოეზიის, მხატვრობის, მოგზაურობის, ადამიანების, საქმის, სამშობლოს, სამყაროს, კოსმოსის, ღმერთის... ამოსარჩევად... უბრალოდ, უნდა ამოირჩიო... და დიდი სიყვარულით შეიყვარო... უბრალოდ შეიყვარო...

პოლიფონიური ლექსის ფონზე რთავს ტელეფონს. თარიღი: Fri, November 4. შედის Facebook-ში, კრეფს პოსტს:

„ამ წუთას მივხვდი, რატომ დავძრწივართ კოსმოსში სიცოცხლის აღმოსაჩენად... სინამდვილეში ერთი მარტოსული პლანეტაა ეს დედამიწა, სხვა არაფერი... იქნებ ამიტომ წერდა ვოლტერი, ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ თავად უნდა გამოგვეგონა იგი... ნუთუ, გამოვიგონეთ?!“. პოსტავს. ეკრანი ბნელდება. მუსიკის ფონზე აგრძელებს...

მონოლოგი No. 10

რამდენი წელია ვმოგზაურობ მთელს მსოფლიოში და ვემბ დიდ სიყვარულებს, მარტო დარჩენილი... რამდენი წელია ვწერ ყველაფერზე, რაც მალეღვებს, აღმაფრთოვანებს... „წერის შესაძლებლობა რომ არ არსებობდეს, დიდი დარდი მოგვიცავდა ყველასო, მე-10 საუკუნეში დაწერა ეს სეი სიონაგონმა, იაპონელმა მწერალმა... ქალმა.

ყოველთვის მიყვარდა წერა. წერილების იმდენად არა, ოღონდ... ჯერ მოთხრობის ჟანრს მივეძაღე, მერე - მუსიკისმცოდნეური კვლევისას... აი წერილების, თავისებური წერილების წერა Facebook-მა დამაწყებინა. წერილებს, ანუ პოსტებს ვწერ ჩემს Facebook-ფრენდებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გული გრძნობებს ვერ იტყვს. „რამხელა შვებას გვანიჭებს საკუთარი გრძნობების

გამოხატვა წერილებში, მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ შესაძლოა ნაწერმა არც კი მიაღწიოს მასთან, ვისაც მივმართავთ“... ეს ისევ სეი სიონაგონია...

არც კი ვიცი, ვის მივმართავ ჩემი პოსტებით. იქნებ საკუთარ თავს? ვგონებ, წერა საშუალებას მძლევს, შიგნით დაგუბებული შთაბეჭდილებები და ემოციები გარეთ გამოვუშვა, რომ შემდეგ სივრცე გამოვათავისუფლო ახალი შთაბეჭდილებებისა და ემოციებისთვის. ეს ხანდახან იმდენად მჭირდება, რომ კომპიუტერთან მისვლასაც კი არ, უფრო სწორედ, ვერ ველოდები და მობილურ ტელეფონზე ვკრეფ ჩანაწერებს... და მართლაც, რამხელა შვებას მანიჭებს ყოველივე ეს!...

როგორც მივხვდი, ამიტომ წერდა სეი სიონაგონიც - განთქმული პოეტის კიოჰარა ნო მოტოსუკეს ქალიშვილი, რომელიც დედოფალ სადაკოს სეფექალად იმპერატორ იჩიჯოს კარზე მსახურობდა. სწორედ იმ დროს, დაახლოებით 986-1002 წელს შეიქმნა მისი „სასთუმლის წიგნი“ - ასე მოიხსენიებდნენ იაპონელები ნაკრებს ჩანიშვნებისა, რომელთა საშუალებით ქალებს და კაცებს დაბინდებისას, საძინებელ ოთახში შესვლის შემდეგ, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილებს, თავში შემოხეტილებული აზრები ქალაქში გადაჰქონდათ და შემდეგ მათ ხის სასთუმლის უჯრებში ინახავდნენ...

აი მე თავიდანვე საჯაროდ ვდებ ჩემს ჩანაწერებს. მაგრამ ვწერ მათ მართლაც ჩემთვის - სიმყუდროვეში, მარტოობაში, გერმანულს თუ დავესესხები - Einsamleit-ში.

პაუზა...

გერმანულ ენაში არის არაჩვეულებრივი სიტყვა - Zweisamkeit.... თუ EINsamkeit მარტოობაა, ZWEIsamkeit ორთა მიერ მარტოობის შეგრძნებას გამოხატავს... სულიერი სიახლოვის რა ხარისხი უნდა არსებობდეს ორს შორის, რომ სამყაროსგან გარიყულებმა ორთაობა იგრძნონ?!...

მე ორთაობის შეგრძნება მხოლოდ ზღვასთან მიჩნდება... მართლა....

ვზივარ ზღვასთან, მოდის ფიქრები, და შევიგრძნობ, როგორ არ ესმის არავის ჩვენი... არა, ზღვას რა ესმის?! მაგრამ ის მასმენინებს... მე ვუსმენ მას და სმენისას ხდება ის, რასაც ჯონ კეიჯი მუსიკას მიაწერდა: ცხრება ვნებები, ნათდება გონება და მე ვიხსნები ღვთიური ზემოქმედებისთვის... პრინციპში, მარტო ვრჩები ღმერთთან... ღმერთთან და ზღვასთან... და აი უკვე იბადება DREIsamkeit-ის შეგრძნება. გერმანელები ამ სიტყვას მშობლებისა და შვილის ერთობის აღსანიშნავად იყენებენ, მე კი სამთაობის შეგრძნება ზღვის ნაპირზე მიჩნდება ხშირად. და რა გასაოცარი პროცესია, როდესაც ორთაობა სამთაობაში გადადის!..

მაგრამ იცით, ხანდახან, ჩემი პოსტების გაზიარებისას ვგრძნობ, როგორ გადადის ჩემი მარტოობა მრავალთაობაში... მე თითქოს ზღვასავით ვარ... მე ვერ გისმენთ, მაგრამ თქვენ... არა, შენ, შენ, შენ... მისმენ მე და წამის მეთავედის განმავლობაში ჩვენ მარტო ვრჩებით ერთმანეთთან... და მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე იმაზე არ ვწერ, რაზეც ვფიქრობ, მჯერა, რომ იმ წამის მეთავედში

შენ ჩემი გესმის და ჩვენ ორნი ვართ ამ ქვეყანაზე... მერე ღმერთი გვიერთდება, მერე სხვა მკითხველი და ვუბრუნდით მრავალთაობას... წამის მეათასედი ვართ ერთად და მერე ვიშალებით... ვიშლებით, დავდივართ კვლავ მარტოსულები და ვეძებთ ერთმანეთს...

(მიდის საწოლთან, წვება, იფარებს გადასაფარებელს. ტელეფონი თან აქვს... უკვე გადასაფარებლის შიგნით სქროლავს ცოტა ხანს Facebook-ს... გამაძლიერებლებში ჯერ კიდევ ჟღერს მესიანი)...

მაგრამ აი ახლა ხომ წამიკითხე, მომისმინე და ასე გავერთიანდით ყველანი მრავალთაობაში, უფრო სწორედ, ერთ-ობაში... თუნდაც მხოლოდ დროებით... თუნდაც მხოლოდ წამის მეათეათასედით... მაგრამ ამ წამის მეასედში მე ვგრძნობ, რომ ვოპოვე პასუხები და გიხდი მადლობას...

და იმასაც ვგრძნობ, რომ მე შენ მიყვარხარ... (თიშავს ტელეფონს, ამოქნარებს...)
ჰო... მე შენ მიყვარხარ... (ჩურჩულით) მე შენ მიყვარხარ...

(ტელეფონი ეცემა ძირს. სცენა ბნელდება. სრულ სიბნელეში, მიღვეადი მუსიკის ფინზე ერთმანეთს ეშრევება პოლიფონიური ლექსები Nos. 1-7, როგორც „ბაბილონის გოდოლის“ თავისებური იმიტაცია. ლექსები ჯერ იწყება ჩუმად, ხმა თანდათან მატულობს და მერე ისევ მიიღვევა. მთელი ეს მინი-კომპოზიცია“ დაახლოებით 2-3 წუთს გრძელდება. დადგმის დასრულების მომენტს მაყურებლის ტაში განსაზღვრავს.

მუსიკალური ტერმინოლოგიის განმარტება პაუზები



გრძელი პაუზა, რომელიც გრძელდება მთელი ტაქტის განმავლობაში



- შედარებით მოკლე პაუზა

ტემპები

Largo – ნელა და გაშლილად

Lento – ნელა

Larghetto – Largo-ზე ოდნავ მოძრავად

Adagio – ნელა

Adagietto – ნელა, Adagio-სა და Andante-ს შორის

Andante – მშვიდი სიარულის ტემპში

Andantino – Andante-ზე ოდნავ მოძრავად

Andante moderato – Andante-ს და Moderato-ს შორის

Moderato – ზომიერ ტემპში

Allegretto – ზომიერად სწრაფად

Allegro moderato – სწრაფად, მაგრამ მთლად Allegro არა

Allegro – სწრაფად

Accelerando – ტემპის აჩქარება

Ritardando – ტემპის დანელება

poco a poco accelerando al Allegretto – თანდათან აჩქარება, Allegro-ს ტემპის მღწევამდე

დინამიკა

ppp – თითქმის ჩურჩულით

pp – ძალიან ჩუმად

p – ჩუმად

mp – ზომიერად ჩუმად

mf – ზომიერად ხმამაღლა

f – ხმამაღლა

p < mp – წაკითხვისას უნდა ათვისებულ იქნას p-სა და mp-ს შორის არსებული დინამიკური სპექტრი

crescendo – ჟღერადობის თანდათანობით მომატება

diminuendo – ჟღერადობის ხმის თანდათანობით დაკლება

„პოლიფონიური ლექსების“ მასალად გამოყენებულია შემდეგი ლექსები:

ნარგიზა ვეკუა

შვილს ჩასახულს, ჯერაც უცნობს!

ციდან ეშვება ფანტელები ნელა, ფარფატით.
 გულს სიხარული მოეძალა თითქოს ნარნარით,
 ეს მე მოვფრინავ ციდან, თეთრი ფიფქი კი არა...
 - შენ ჩემი გულის ნაწილი ხარ, სუნთქვა ხარ ჩემი!
 ო, როგორ გელი სულისთქმაო, როგორ მოგელი?! "
 თეთრ ფარდას ფარავს ოცნებების ღრუბელი სქელი -
 ფანჯარას აღებ პაწაწინა ხელებით, ღელვით,
 შეუშვერ თითებს თოვლის ფიფქებს და გაოცებით
 მიაცქერდები დიდი, მრგვალი, შავი თვალებით...
 შემოგხვევ ხელებს, სიხარულით ჩაგიკრავ გულში,
 გაყინულ თითებს, პაწაწინებს რომ დაგიკოცნი -
 ბედნიერების კარს შევაღებ აღტაცებული...
"
 ო, როგორ გელი სიხარულო, როგორ მოგელი?!

გოდერძი ჩოხელი

სევდა ზღვა არი...

სევდა ზღვა არის,
 იდუმალი და უნაპირო,
 გულ-გონებაში ჩამომდგარი ჩემი მთა არი,
 მზის ჩასვლის მერე დარჩენილი
 თალხი ნაგრილი.
 მზე იწურება მთების იქით, მიმწუხრი დგება,
 გულში კი სევდა საღამოვდება,
 დგას ბნელი ღამე,
 იდუმალი და თავდახრილი...
 გაივლის ჟამი,
 მთის იქიდან ამოვა მთვარე
 და ამ სევდიან ღამეებში ისე ჩადგება,

როგორც ნაზამთრალ თალხ ტყეებში
 თეთრი აპრილი.

Gerard Manley Hopkins

To a Young Child

Márgarét, áre you gríeving
 Over Goldengrove unleaving?
 Leáves like the things of man, you
 With your fresh thoughts care for, can you?
 Ah! ás the heart grows older
 It will come to such sights colder
 By and by, nor spare a sigh
 Though worlds of wanwood leafmeal lie;
 And yet you will weep and know why.
 Now no matter, child, the name:
 Sórrów's spríngs áre the same.
 Nor mouth had, no nor mind, expressed
 What heart heard of, ghost guessed:
 It is the blight man was born for,
 It is Margaret you mourn for.

აკაკი წერეთელი

ანდერძი ჩემს შვილს

გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე,
 რაც უნდა ჭირში ჩავარდე,
 ცხოვრების დახლართული გზა
 უშიშრად გაინნავარდე!
 ყველა გიყვარდეს და ცოდვაც
 შეუწდვე წრფელის გულითა!
 მით ამაღლდები მდაბალი,
 სხვებისგანც სიყვარულითა.
 მარტო შენს თავზე ნუ ზრუნავ,
 სხვებიც გახსოვდეს მარადა,
 შრომა აილე მახვილად

და მოთმინება ფარადა!
 აი, ეს არის ამქვეყნად
 შვება და ბედნიერება
 და უკვდავების მარადი,
 უჭკნობი ბედნიერება!

Pablo Neruda

Oda al día feliz

ESTA vez dejadme
 ser feliz,
 nada ha pasado a nadie,
 no estoy en parte alguna,
 sucede solamente
 que soy feliz
 por los cuatro costados
 del corazón, andando,
 durmiendo o escribiendo.
 Qué voy a hacerle, soy
 feliz.
 Soy más innumerable
 que el pasto
 en las praderas,
 siento la piel como un árbol rugoso
 y el agua abajo,
 los pájaros arriba,
 el mar como un anillo
 en mi cintura,
 hecha de pan y piedra la tierra
 el aire canta como una guitarra.
 Tú a mi lado en la arena
 eres arena,
 tú cantas y eres canto,
 el mundo
 es hoy mi alma,
 canto y arena,

el mundo
 es hoy tu boca,
 dejadme
 en tu boca y en la arena
 ser feliz,
 ser feliz porque si, porque respiro
 y porque tú respiras,
 ser feliz porque toco
 tu rodilla
 y es como si tocara
 la piel azul del cielo
 y su frescura.
 Hoy dejadme
 a mí solo
 ser feliz,
 con todos o sin todos,
 ser feliz
 con el pasto
 y la arena,
 ser feliz
 con el aire y la tierra,
 ser feliz,
 contigo, con tu boca,
 ser feliz.

Emily Dickinson

Simplicity (How happy is the little Stone)

How happy is the little Stone
 That rambles in the Road alone,
 And doesn't care about Careers
 And Exigencies never fears
 Whose Coat of elemental Brown
 A passing Universe put on,
 And independent as the Sun
 Associates or glows alone,

Fulfilling absolute Decree
In casual simplicity

მუხრან მაჭავარიანი

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ..

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ! _

იმ ერთის პოვნის

თუ გახდი ღირსი!

არაერთს ისე მოელო ბოლო, _

თვალცი ვერ მოჰკრა

გაჩენილს მისთვის.

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ! _

სად არის იგი! _

ეს ღმერთმა იცის! _

იმ ერთის ხილვის, _

იმ ერთის პოვნის, _

ათასში ერთი გამხდარა ღირსი.

Hermann Hesse

Weil ich dich liebe

Weil ich dich liebe, bin ich des Nachts

So wild und flüsternd zu dir gekommen,

Und dass du mich nimmer vergessen kannst,

Hab ich deine Seele mitgenommen.

Sie ist nun bei mir und gehört mir ganz

Im Guten und auch im Bösen;

Von meiner wilden, brennenden Liebe

Kann dich kein Engel erlösen.

Gabriela Mistral

Dame la mano

Dame la mano y danzaremos;

dame la mano y me amarás.

Como una sola flor seremos,

como una flor, y nada más...

El mismo verso cantaremos,
al mismo paso bailarás.

Como una espiga ondularemos,

como una espiga, y nada más.

Te llamas Rosa y yo Esperanza;

pero tu nombre olvidarás,

porque seremos una danza

en la colina y nada más...

رومی محمد الادی نجلال

ز اول که حدیث عاشقی بشنودم

جان و دل و دیده در رهش فرسودم

گفتم که مگر عاشق و معشوق دو اند

خود هر دو یکی بود من احول بودم

(Jalaluddin Rumi

The minute I heard my first love story, I started looking for you, not knowing how blind that was. Lovers don't finally meet somewhere. They're in each other all along).

Pablo Neruda

Mamadre

...Ay mamá, ¿cómo pude

vivir sin recordarte

cada minuto mío?

No es posible. Yo llevo

tu Marverde en mi sangre,

el apellido

del pan que se reparte,

de aquellas

dulces manos

que cortaron del saco de la harina

los calzoncillos de mi infancia,

de la que cocinó, planchó, lavó,

sembró, calmó la fiebre,

y cuando todo estuvo hecho,
y ya podía
yo sostenerme con los pies seguros,
se fue, cumplida, oscura,
al pequeño ataúd
donde por primera vez estuvo ociosa
bajo la dura lluvia de Temuco.

Hermann Hesse
Meiner Mutter

Ich hatte dir so viel zu sagen,
Ich war zu lang im fremden Land,
Und doch warst du in all den Tagen
Die, die am besten mich verstand.
Nun da ich meine erste Gabe,
Die ich dir lange zgedacht,
In zagen Kinderhänden habe,
Hast du die Augen zugemacht.
Doch darf ich fühlen, wie beim Lesen
Mein Schmerz sich wunderlich vergißt,
Weil dein unsäglich gütig Wesen
Mit tausend Fäden um mich ist.

Emily Dickenson
Nature - the Gentlest Mother

Nature - the Gentlest Mother is,
Impatient of no Child -
The feeblest - or the waywardest -
Her Admonition mild -
...
When all the Children sleep -
She turns as long away
As will suffice to light Her lamps -
Then bending from the Sky -
With infinite Affection -

And infinitely Care -
Her Golden finger on Her lip -
Wills Silence - Everywhere -

გოდერძი ჩოხელი
თხოვნა

ამ დღემაც ისე ჩაიარა
უხმოდ, უბრალოდ,
სულში დატოვა ღრმა იარა
გაჰქრა უკვალოდ.
ვერ შეველიე საწუთროზე
დღითი-დღე ჩივილს,
წლები მიდიან ემატება
ტკივილი ტკივილს.
გულში ჩამიქრა სიხარული
გაჰქრა მზის სხივიც,
სულის სიდრმეში
ბინდისფერი ყორანი ყივის.
უფალო მიხსენ,
კვლავ ამინთე გულში სანთელი
და სულს მომფინე
შორეული სივრცის ნათელი.

Gerard Manley Hopkins
No Worst, there is none

No worst, there is none. Pitched past pitch of grief,
More pangs will, schooled at forepangs, wilder wring.
Comforter, where, where is your comforting?
Mary, mother of us, where is your relief?
My cries heave, herds-long; huddle in a main, a chief
Woe, world-sorrow; on an áge-old anvil wince and sing —
Then lull, then leave off. Fury had shrieked 'No ling-
ering! Let me be fell: force I must be brief.'
O the mind, mind has mountains; cliffs of fall
Frightful, sheer, no-man-fathomed. Hold them cheap

May who ne'er hung there. Nor does long our small
Durance deal with that steep or deep. Here! creep,
Wretch, under a comfort serves in a whirlwind: all
Life death does end and each day dies with sleep.

Hermann Hesse

In Scmerzen

Schmerz ist ein Meister, der uns klein macht,
Ein Feuer, das uns ärmer brennt,
das uns vom eigenen Leben trennt,
das uns umlodert und allein macht.
Weisheit und Liebe werden klein,
Trost wird und Hoffnung dünn und flüchtig;
Schmerz liebt uns wild und eifersüchtig,
wir schmelzen hin und werden Sein.
Es krümmt die irdne Form, das Ich,
und wehrt und sträubt sich in den Flammen.
Dann sinkt sie still in Staub zusammen
und überläßt dem Meister sich.